

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 76

2020



მთ. რედაქტორი

სოსო სიგუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ანილასალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-883-0 (76 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნება-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინისა“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დანი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავ და... დღეს ძვეშის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს სამზისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვეშის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ძვეშის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძლვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შესტრი ყოველ ქაბას, ყოველ ძაბაბას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიტრ

ზღვა აღელდა, აბობოქრდა, ორბებმა ცა
ფრთხებით გახლიჩეს, მაგნოლიები და მიმოზები
ერთმანეთს ნაზად ჩაეკრნენ და მგოსანს, რო-
მელმაც შემდგომში ისინი გაუკვდავა დაბადება
მიულოცეს.

ბავშვს, რომელიც მეცხრე სიცოცხლედ მო-
ვალინა ქვეყანას (შვიდი ძმა და ორი და) ღმერ-
თისაგან ნაბოძები პოეტური ნიჭი და ცოტნე და-
დიანის რაინდობა დაპყვა მეგზურად.

ვაჟა ეგრისელი XXI-ე საუკუნეში, ანტიკური
ხანის კოლხეთიდან მოვიდა. სამყაროს აიეტის
თვალით გადახედა, ქართულ პოეზიას მედეასე-
ბური გრძნეული სული შთაბერა და უკვდავების
გზას გაუყენა.

ვაჟა ეგრისელი რა თქმა უნდა, ქართული
მოვლენაა, ისევე, როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა,
მაგრამ მაინც ეს ორი ბუნების მომდერალი, ორი



დიდი მგოსანი, მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედები არიან.

ვაჟა ეგრისელი არც დაწერა და არც პორაციუსი, არც ბართაშვილია და არც ბაირონი. ის ვაჟა ეგრისელია, ღვთაებრივ ეგრისში პოეზიის ღმერთკაცად შობილი.

„... ვაჟა ეგრისელი ქართული პოეტური გუნის თავისებური, ორიგინალური გამოვლინებაა. იგი ერთი ცოცხალი სულია რომანტიკული საქართველოსი...“ / ციალა მესხია, პროფესორი/

სიკეთე და სიყვარული, მისთვის ყოველდღიური ცხოვრებაა. ვაჟა ეგრისელი დიდი ბავშვია თავისი მრავალმხრივი შემოქმედებით. იგი იდუმალი თვითმყოფადი პოეტია, განუმეორებული მეტაფორიებით დახუნძლული, კაზმული მეტყველების უმდიდრესი დიდოსტატი.

დღეს ცოტა თუ მოიძებნება ისეთი პოეტი, რომელსაც ისე ძალუმად უყვარდეს თავისი მრავალტანჯული, მრავალჭირვარამგადატანილი სამშობლო, როგორც ვაჟა ეგრისელს. ის დიდი ილიასი და დიდი ზვიადის მსგავსად, მხრებით დაატარებს მძიმე ჯვარს და მაცხოვარივით მასზედ გაკრული სისხლისაგან იცლება. მისი



უსაზღვრო დიდი შემოქმედება, კოლხურ პეგას-
ზე ამხედრებული პოეზიაა, რომელიც მოუთოკა-
ვი ენერგიით მიუქანდა ქვეყნის დასაპყრო-
ბად. მას თანდაყოლილ პოეტურ ნიჭითან ერთად,
ღმერთმა გამორჩეული ხმაც უბოძა.

„... ვაუა ეგრისელი. – სიცოცხლეშივე ქარ-
თველი ერისა და მისი ძირძველი მხარის – სა-
მეგრელოს უკვდავებად ქცეული ლეგენდაა...
ილია ჭავჭავაძიესული უმტკიცესი ბურჯი და
აკაკი წერეთლისეული ჩონგურის გაუწყვეტელი
სიმია.

„კოლხური ფსალმუნებით“ დედა სახართველოს
მეხოტბე დიდი პეოეტი და საზოგადო მოღვაწეა...“

/ნუგზარ ნადარაია,
ფაზისის მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე პრეზიდენტი./
1993 წ.

მისი გული ძალუმად ფეთქავს საქართვე-
ლოს სიყვარულით, ისე ძალუმად, რომ დრომაც
ვერ განკურნა ძველი იარები:

„მზის ფიალით გამოწვდილი
ცაა –
როგროც ზიარება



და ვერც ქამბა,
ვერც დუდუკმა,
ვერცა ზურნამ,
ძველისძველი იარები,
ვერ იქნა,
ვერ განმიკურნა“.

ვაჟა ეგრისელი თავისი დაუმორჩილებელი
ბუნებით, ქვეყნის სიყვარულით და ბრძოლის ან-
თებული ქინით, ქუჯის მოგვაგონებს და საუკუ-
ნეების იქით გადავყევართ. იგი დიდი ქართველი
პოეტია და ამავე დროს, უდიდესი, უტეხი კოლ-
ხი.

„განთიადამდე ისევ წკავწკავებს
ვარსკვლავებს ღამე –
შავი ნაგაზი,
და პონტოს პირას,
კოლხურ ცისქვეშ,
უტეხი –
კოლხი,
მზით დაბმული ვარ ქამი ბაგაზე
და ჩემს უგემურ დღეებს კვლავ გცოხნი.“



„... სახისმეტყველება (ე.წ. სახეობრივი აზ-როვნება: მეტაფორა, შედარება, ეპიტეთი), მეოცე და ოცდამეტოე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი შენაძენია და მისი უპირველესი რეალიზება ვაჟა ეგრისელს არგუნა არსთაგამ-რიგემ...“

ნიკო (მალხი) ხერკელაძე,
აკადემიკოსი.

ვაჟა ეგრისელის პატრიოტიზმს ზღვარი არ აქვს, იგი ბოლომდე დახარჯულია სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებაში.

„საქართველოში ოჯახს,
ოდიდან,
სიხარულს გვრიდა გაჩენა ბიჭის,
რადგან მის მიწას,
განსაცდელი მუდამ უცდიდა...
სამშობლოსათვის თავდადების რწმენა და ნიჭი,
გამოყვა ქართველს,
დედის მუცლიდან.“



ილია ჭავჭავაძე ერთ თავის წერილში რუს-
თაველის შესახებ წერს, ვიწრო მოედანი მარტო
პატარა ფალაგნის სარბიელია, დიდს კი უფარ-
თოესი პორიზონტები სჭირდება. დიდების ყვე-
ლაზე მაღალ მწვერვალს ის აღწევს, ვისაც ყვე-
ლაზე ღრმად აქვს ფესვები გადგმული ეროვ-
ნულ ნიადაგში.

ეს სიტყვები დღეს ყველაზე მეტად მიესადა-
გება ვაჟა ეგრისელს, პოეტს და შემოქმედს. მას
ისე ღრმად აქვს ფესვები გადგმული ეროვნულ
ნიადაგში, რომ, როგორც არ უნდა ეცადონ მის
ამოძირებას ქვებუდანნი და შურით გაავპაცე-
ბულნი, ვერა და ვერ შეძლებენ რადგან:

„ჩემს ქართულ სიტყვას ვაელვარებ
ხელში ხმალივით,
ვით სირინოზებს დაატყვევებს
ხმა –

ჯადოსნური
და საქართველოს მზეს და მზის
კერას,
ქუდს მოვუხდი და
ვივლი უქუდოდ,



სანამ სიკვდილი ამომიკერავს –
მარადიული ძილის ძაფით
თვალთა ქუთუთოს.“

აბა რას დააკლებენ ამის მოქმედ პოეტს,
მცონარენი და უნიჭონი?!

„...ეგრისელის ფიქრმიუწვდომელი შემოქმე-
დება, ჩემთვის მერვე საოცრებაა დედამიწაზე...“

/ომარ ხუხუა
მწერალი/

ვაჟა ეგრისელი უდიდესი მართლმადიდებე-
ლი ქრისტიანია. მისი სიკეთე დმერთობაა გა-
ტოლებული:

„... და დვთის წინაშე მუხლმოდრეკილი
ჩურჩულებს
მწუხარის საგალობელს,
ვითარც მხევალი.“

თუ ვაჟა ფშაველას, ერთ ხურჯინში მოქცე-
ული უზარმაზარი, ორბის ფრთებით დამსკდარი
ცა და ირმის რქებით დაგლეჯილი კოინდარი



დაჟქონდა, ვაუა ეგრისელს, კოლხური ეშხით აყ-
ვავებული, მიმოზები, მაგნოლიები, ბობოქარი
ზღვა და ზღვის დელვასავით ლამაზი სიყვარუ-
ლი დააქვს „ანის და პოეს“ დასაპრყობად.

„... ვაუა ეგრისელი, როგორც პოეტი, ფილო-
სოფიურად მოაზროვნე პლანეტარული გიგან-
ტია...“

/რუსულან ხორავა,
მუსიკოსი/

პოეტის ყველა ფიქრი და გონება, სადაც არ
უნდა იყოს და რასაც არ უნდა აკეთებდეს, -
სამშობლოა...

„ვის წაუღია...“

მე იმ ქვეყნად რამე წავიღო,
გითარც მოვედი, წავალ შიშველი.
მომენატრება შენი ერთი თვალის
შევლება

და მოვკდავს,
მიქელ გაბრიელი ვიცი მიშველის,
მაგრამ სამშობლოვ!
მითხარ უკვდავს,
რა გეშველება.

წუხს პოეტი და ეს წუხილი უსაზღვროა,
რადგან მიწა, რომელიც ღმერთისაგან გვებობა,
ათასი ჯიშისა და რჯულის გადამთიელი გვედა-
ვება და შვენივე მოდგმის ფარისევლობითა და
ლალატით, შაგრენის ტყავივით გვადნება ხელში.

„ჩვენ გვეკუთვნოდა და
ღმერთმა ჩვენ გვარგუნა –
ეს ზღვა,
ეს ცა და
ეს ბალი ედემის,
„მარავალუამიერი“ და „ვოიდა“
/საიდან, ვინ იცის?/
მთები და ქედები,
აქ ჩამოსახლებულნი
უხსოვარ დროიდან.“

ამბობს პოეტი და გრძნობს, ცოცხალი თა-
ვით ერთ გოჯ მიწასაც არავის დაუთმობს. ვაჟა
ფშაველა, ტურგენევის შესახებ წერდა – „დიდი
ცოდვა და ნაკლია მწერლებისა და პოეტებისა,
თუ იმათ შეუძლიათ და ვერა ჰეთავენ ახალ-
გაზრდობის მისაბაძავ, ახალგაზრდობის აღ-



მზრდელის ტიპებსა. თვითონ მწერლობაც, ამისთანა შემთხვევაში სუსტი და უმარილოა. ეს კარგად ესმოდა განსხვავებულს რუსეთის გამოჩენილ რომანისტს ტურგენევს და იმიტომ ვხედავთ იმის რომანებში სხვადასხვა დროთა შესაფერ ტიპებს.“

ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო ტურგენევის, რადგან მართლაც ბუმბერაზია და გენიალური მისი შემოქმედება, მაგრამ ერს, რომელსაც უკვე ჰქონდა „ვეფხისტყაოსანი“ და ჰყავდა თანამედროვე გენიოსები აღმზრდელობითი ტიპისა, არაფერი რომ არ ვთქვათ, ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილზე, თავად ვაჟა და აკაკი ხომ იყვნენ?

ქართულმა კულტურამ მსოფლიოს, მრავლად მისცა გენიალური მწერლობა აღმზრდელობითი ტიპისა.

„... ეგრისელის პეტია ფურცელ-ფურცელ გადაშლილი, სტრიქონ-სტრიქონ წაკითხული, მაგრამ მაინც ჯერჯერობით შეუცნობადი, გადაუშლელი და წაუკითხავი დიდი წიგნია...“ /ამორან დავითაძე, აკადემიკოსი/.



თუ ჩვენი დიდად პატივსაცემი მეცნიერები
ლრმა მეცნიერულ ანალიზს გაუკეთებენ ვაჟა ებ-
რისელის დიდ შემოქმედებას, დავინახავთ, რომ
უკეთესს ვერაფერს შეისწავლის ახალგაზრდ-
ობა.

„იმ ოქროს ხანის-
მეთორმეტის – მოიქცა უამი,
გამიდიადდი,
მზის სარკეში ვეღარ ეტყვი.
სიობო,
სინათლე,
სიხარული
მიგაქვს გულებთან
ადრე სხვა იყო,
ზღვისპირ იდექ რკინისმკვნეტელი
მარტოდმარტო და
ირგვლივ მტერი გიძიძგურებდა...
ჩემო მამულო!“

ვაჟა ეგრისელი „ვეფხისტყაოსნიდან“ გად-
მოსული რაინდია. უმდიდრესი ქართული სიტ-
ყვის უბადლო მთქმელი და შემგრძნობი, როცა



ეცნობი მის პოეზიას, აღარ გიკვირს იოანე ზოსიმეს ნათქვამი:

„დამარხული არს ენაი ქართული, დღემდე
მეორედ მოსვლისა საწამებლად, რათა ყოველსა
ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა და ესე
ენაი მძინარე არს დღესამომდე. და სახარებასა
შინა ამა ენასა ლაზარე ჰქვიან.“

მოგვთა ენა იყო ქართული, ადრე ისტორი-
ულ ხანიდან, ღმერთებთან ურთიერთობისათვის
შექმნილი:

„როდესაც ქვეყნად მოვიდა იესო ქრისტე,
დადგა ქრისტიანული ერა. ქართულ ენას, ქარ-
თულ მოდგმას მიეცა სტიმული აღდგომისა ლა-
ზარეს მსგავსად. აი, რატომ ჰქვია ქართულ ენას
„ლაზარე სახარებასა შინა!“

დღეს კი, რაოდენ გულსატპენია, რომ ჩვენი
ლვთაებრივი ენის ლექსიკა გადატვირთულია უც-
ხოური ტერმინებით.

„... უახლოეს ქაღთულს პოეზიაში არც ერთ
თანამედროვე პოეტს იმდენი სიახლე არ შეუტა-
ნია, როგორც ვაჟა ეგრისელს.“

ეთერ სანაია, მეცნიერ-იურისტი.



„ილაპარაკეთ, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთო!“ ეს იყო ეროვნული მოძრაობის მთავარი მოწოდება და ეს ვაჟა ეგრისელის შემოქმედების სულის გამოძახილიცაა.

„... ვაჟა ეგრისელი ქართულ პოეტიაში ახალი მოვლენაა: იგი სამი დროის: წარსულის, აწმუოს და მომავლის პოეტია...“

(შოთა გოგონებია, აკადემიკოსი).

„... გვირგვინოსანმა პოეტმა ეგრისელმა ფსევდონიმი „ეგრისელი“ უფლის ნებით აირჩია“. /მამუკა ძაძამია, პოეტი/.

უნდა იცხოვოთ ვაჟა ეგრისელის პოეზიით, რომ შეიგრძნო როგორ გულის გახეთქვამდე სტკივა საქართველოს წარსული, აწმუო და მომავლი:

„მეტეთან უცებ წარსული დარეკს,
სადღაც უყივის –
მარეკი მარეკს,
და ხმათაშორის ერთი ხმა ბოხობს,
ნადირს და ფრინველს –
მწევარნი პყეფენ...“



ეს,

ალბათ, თავის დაკოდილ ხოხობს,
წყალში ჩავარდნილს წააწყდა მეფე.“

ბასიანი, შამქორი, დიდგორი, გარნისი, მარტყოფი, ბახტრიონი, მარაბდა, კრწანისი, წიწამური და ბოლოს ბორითი და ჯიხაშკარი... და კიდევ რამდენი ტკიფილი თუ სიამაყე. რამდენი დაცემა თუ ამაღლება, რამდენი სირცხვილი, რამდენი დიდება, რამდენი გამეტებული და განწირული მამულიშვილი, რამდენი ტკბილ-მწარე მოსაგონარი აწუხებს პოეტს.

„შენს დროშისფერს,
შენს სიმაღლეს,
ვითარც ვახტანგ,
ვითარც ცოტნე,
შეეწირა სხვა ათასი.
ქართვლის ცაზე რომ ჰკიდია,
მზე კი არა!
თავი გახლავთ პაატასი.“



„... მხატვრული აზროვნების მარგალიტები, ვაჟა ეგრისელის პოეზიას რომ ამშვენებენ, რამდენიმე თანამედროვე პოეტის შემოქმედებას ეყოფა...“

(ოთარ მიქიაშვილი, პროფესორი)

დედა-მიწა, მთვარე, ვარსკვლავები, ღამე, ზღვა, ხმელეთი. „... არა მგონია დედამიწის ზურგზე იყოს ვაჟა ეგრისწლზე დიდი, თანამედროვე პოეტი...“

გიგი კილასონია
აკადემიკოსი

უნდა ღრმად შეისუნოთ ამ გოლიათი პოეტის შემოქმედება, რომ თავადაც შეიგრძნო ბუნების ეს საოცრებანი:

„პოი წმინდაო!
დაფიონის შუქით შემქული
ჩემი დღეები, –
სიჩუმეში რომელიც ილტვის, –
ხელში მიჭირავს ცისარტყელას
ფერადი კუდით.



და სიყვარული –
მგალობელი პატარა ჩიტი, –
ჩემი სიმღერის მაღალ ტოტზე
იკეთებს ბუდეს.“

დიდი ფიზიკური, სულიერი და ზნეობრივი
საზღაურის ფასად დაუჯდა ვაჟა ეგრისელის,
კოლხური სულით შეზავებული ქართული ენის
ცამდე ამაღლება.

სამშობლო, მიწა-წყალი, ენა და რჯული –
ეს წმინდა სამება არის ვაჟა ეგრისელის საუფ-
ლო – საპატრონო.

თუკი დღემდე არსებობს საქართველო, თუ-
კი მისი გული არ გარღვეულა, ეს მხოლოდ
რუსთაველის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონის და
ვაჟა ეგრისელის თარზე დასაკვრელი ქართული
ენის წყალობით.

„... ვაჟა ეგრისელი თანამედროვე ქართული
პოეზიის მშვენებაა...“

(ფარნაოზ ლომაშვილი, პროფესორი)

ეცნობი ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას და
გრძნობთ რომ ამოუწურავია მისი პოეტური ფან-



ტაზია. იმდენად ამოუწურავია, რომ თვითონ
დმერთსაც არ იკარებენ.

„გესმის ჩემი ხმა –
ქარიშხლიანი,
ვითარც ფასკუნჯი –
მოფრენილი ჩვენს ქარსულიდან,
რომ დახულია
ღამის კარები,
რომ თვითონ დმერთსაც
არ იკარებენ
და მარტოობენ
ჩემი დღეები....“

დადის ჩვენს შორის, ქარიშხლიანი ხმის,
თხემით ტერფამდე რაფინირებული ქართველი
ინტელიგენტი, დახვეწილი რაინდი, კოლხური
მთებიგით ბუმბერაზი, უდიდესი შემოქმედი და
გიხარია რომ შენც ამ ქვეყნის შვილი ხარ.

ნათელა გოხელაშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან – კოლხი პოეზიდონი
კოლხურ პეგასზე ამხდორებული პოეტი

გაგრძელება შემდეგ ტომში



* * *

მაღლა უფალმა და...

ერთმა მან იცის,

დვთაებრივ სიყვარულს –

ვინც დამე უთია,

ვინც ტრფობის მდინარეს მიჰყვება ტივივით,

რომ ქალი –

კაცისთვის ლამაზი წუთია,

ქალისთვის კაცი კი –

მარადი ტკივილი...

1989

თმაბურძაბლა შიში

ოქროთ დახურულ,
მოჩუხჩუხე დამის სასახლეს,
დაუცურდება კრამიტივით ერთი ვარსკვლავი
და ცის კიდეზე,
ვით დინამიტი
დაიწყებს შიშინს.
იმ წამსვე მოვა და ნისლჩამდგარ
წვენს თვალებიდან
გამოიხედავს თმაბურძაბლა შიში.

1961



შეღა ჟსმინოთ

გაწვრთნილებს პონტოს სანაპიროზე,
მძლე მეომრებად –
ხმალშემართულ ლექსებს
შეგისევთ...
უნდა უსმინოთ ფეხზე მდგარმა,
თუ არ უსმენდით!
თქვენ აღარ ძალგიძთ,
თქვენ ვერ დაძლევთ ვაჟა ეგრისელს,
მას აქილევსის არ აქვს ქუსლები.

1988



ჩემი დროც მოვა

მადლობა უფალს...

არრა არის ქვეყნად მარადი,
წესილს ცვლის ლხინი, წვიმას კი ქარი.
ასე ჩემო ვახტანგ
და კოვა!
ვხედავ, რომ ახლა თქვენ გიდგათ დარი,
ღმერთია მადლა,
ჩემი დროც მოვა!

1972



ორი ხმა

მომხდურს კი არა, ქართველო!
მმასა ჰყა! –
კივის დემონი...
გვაფხიზლებს ხმები წინაპართა
დაფდაფებისა:
არვის ვეფმოთ,
არც ვემონოთ,
გარეშე დვთისა, – დამბადებლისა!

1990



* * *

სულს გავატან

სანთელ-საკმელს,

(იმედი რომ მყოფნიდეს),

თუ დატოვებ ღიად სარკმელს,

შენთან რომ შემოფრინდეს.

1956



* * *

ცეცხლივით ენოო წვეთები სისხლის,
ბუზებით უდვოთდ დაჭვარტლულ სახეს,
ის უპოვარი და უფლის გლახა –
იწვა სადგურის ბნელ
გუთხეში
და ცალ ფეხსაცმელს,
ვითარცა ნიანგს, დაებჩინა
ვეება ხახა.

1964



* * *

დღის თეორი სული –
ცაში ვალალებს,
ნათელი წყვდიადს ვეღარ იცილებს.
უცემ დააღრჩო წყალში
მზემ სხივი.
ზღვის ზედაპირი ისე მოჩანს,
ისე ციმციმებს,
კით გარსპელავებით ცა –
დაკემსილი.

1962



გაზაფხული პრანისის გელზე

აქ, არაგველების ყიუინა კვლავ ისმის,
ობელისკს,

ვით მახვილს, კვლავ ბდუჯავს
კრწანისი...

მოდგმა სალიბების...

ხეთების...

ჯიქების –

აქ წვანან...

და უდგათ მტრის სისხლით აღვსილი
ყაყაჩოების ფერადი ჭიქები.

1962



* * *

თავხედებმა და გიჟმა ქარებმა,
რომ ამ უმტკიონ ზამთარს
კარები,
ქათქათა თოვლის ადევს ურდული.
თრთის და კანკალებს
ტიტკელ-შიშველი –
ვარსკვლავებისგან ცა
გაქურდული.

1961



* * *

ისევ უკეთიათ ხის ტოტებს თითებზე,
ოქროცურვილი –
ფოთლების ბეჭდები.
ვერა და ვერ იქნა, გვალვას ვერ ჰგიებენ,
ივლისის დანთებულ კოცონზე იწვიან...
მე კი ბუჩქებიდან მიჭვრეტენ იები
და ბლუჯა-ბლუჯა
სილურჯეს მიწვდიან...

1961



* * *

ქარების მოთქმით და ქათქათა თოვლის
ფეხებით,

ჩემი საფლავის შავი ლოდიც
გადიოდელება,

მშობელ მიწას რომ ალბომივით ხელში
ეპავა.

მოფირნდებიან დავიწყების
გულწითლები
აქ დარჩენილი ხსოვნის ფინჩხის
ასაკენკავად.

1991



მეარღვე

როგორც კენგურუ,
თავის პირმშოთი,
სურათი მსგავსი: არდნით მეარღნე...
არავინ მოსთქვამს, არავინ კივის,
მხოლოდ თავს იკლავს
არღნის ჩხავილი...
ის კი სვენებით მიუყვება პატარა ბილიკს,
რომელსაც აწი,
არასოდეს აღარ ჩაივლის.

1979



* * *

„ადგვად ქართლისა!“ –

რუქნადინმა

ჯარი მოჰყარა,

როს თამარ მეფის ძლიერება გადასწყდა

ცხრა მთას.

ახლაც ჩაესმის საქართველოს მტერს და

მოყვარეს,

რგაასი წლის წინ, რომ გააწენა მხარგძელმა

თათარს,

სილა,

იმ სილის ხმა და ლაშანი.

1981



* * *

ძლივს მოაღწია, აი,
აქამდე
და მერე უცებ წაიფორხილა,
ჭიშკართან ისე დგას აკაცია,
ომაჭარარა და წელში მოხრილი,
თითქოს სნეული –
ბერიკაცია.

1988



* * *

ქართული კამპანა ცის და მზის მოშურნე –
აშიღ-არტანუშ

და ბაღჩოები,

ქართლში და კახეთში რადგანაც ბევრია,
ამიტომ ამ გზებზე...

ეს ყაყაჩოები,

თავიანთ ცეცხლისფერ სიმღერებს მღერიან..

1966



* * *

მოწყენილია ცა და... ალბათ
დიდხანს იწვიმებს...
იქუხებს მეხი...
და ჩემს კუთვნილ მზეს შეაზრიალებს...
წამიყვანს იგი,
მარადისად ვისაც რომ ვენდე.
გამოიდარებს...
გათენდება დილა მზიანი,
ჩემი ლამაზი სიკვილის შემდეგ.

1988



* * *

მხოლოდ ის –

სიცოცხლე ჩემი...

სხვას არ ვთვლი შეხედვის ღირსად.

ცეკვა და სიმღერა...

მუსიკა გრიგის...

ვინც მიყვარს, ვაღმერთებ ვისაც,

ველი და აღარ ჩანს იგი.

1973



* * *

ქართული სიტყვის ტყეში ფიჩხი მიგროვებია
და „დიდთა“ გვერდით

დამინთია მცირე კოცონი.

ბევრჯერ დაგმჯდარგარ შთაგონების
ცეცხლთან და ბოლთან.

ახლა კი...

ახლა ამაყი და კვლავ თავმომწონე,
სიკვდილის ლამაზ კართან გცემ –
ბოლთას.

1992



უფალო ჩემო

ამ საწუთო ში ტირილით და წუხილით
მოველ,

რადგანაც ვიცი ვერაფერს
შევცვლი

და ვერ ავიტან გაძაღლებულ სიცოცხლის
გემოს.

„ოდეს მართალნი ნეტარებდნენ,
ცოდვილთა პგვემდეს

ცეცხლი,

ო, მაშინ შემიწყალე უფალო ჩემო!“

1992



* * *

კოლხური ეზო...

ფიანდაზად განფენილი კოინდარი.
მკერდზე ოჯალეშჩახვეული თელა და
ბჟოლა.

კრუხი (თავისი დასაპლავი დანა რომ
ჩხრიკა)

და წიწილები...

წიწილების შიში და
ქრეოლა –
ცხიკ! – ცხვირი დააცემინა ჩხვიკვმა.

1977



ჩვენ, ქართველები

როგორც იმედის და სინათლის თეთრი
პეპელა,
ჩვენ ქართველები! –
შუქით ვწნდებით
სწრაფად და უცებ,
მიწისკენ ვიღტვით და გავეშებით,
ვით ამირანი... ცას ვუფატრავთ ვეება
ზუცელს,
ფიქრის და ელვის
თეთრი ეშვებით.

1962



* * *

რადგან ყოველი არის ამაო,
აბარჩხალებულ მის ცას
და მის მზეს,
წლები დაყრიდ ზედ ქერეჭივით...
ცხედარი არა,
თვალდათხრილი სიკვდილი მიმზერს –
სარკოფაგიდან კბილდაკრეჭილი.

1964



* * *

მხით და სინათლით შემოსილები
დღეები დაფნის გვირგვინს
მიწნავენ...
მე კი მეგონა დაღამდა და... ირგვლივ
ბნელოდა.

ამდენ სიხარულს...

(ღმერთო ჩემო!

ამდენ სიმწარეს!)

გმადლობთ სიცოცხლევ!

შენგან მაინც აღარ ველოდი.

1991



* * *

დამის დარბაზი

მოგონების იდება კარი,
გადაპეტილი დავიწყების უშავეს ბიგით...
წელში მოხრილი,
რომ ჩანს მთავრე,
ასე მგონია:
ბებოა იგი,
ობლების ფიჩის მოსატანად ტყეში წასული.

1961



* * *

ქვები, ქვებია, მათოვის ერთია,
საუკუნე და ათასწლეული,
ყვავილები და ეკალ-ბარდები.
და, როგორც ციხე მტრისგან ძლეული.
ეს სასაფლაოც,
დავიწყების ურდოს ბარდება.

1966



* * *

გამოენისას ჩამეძინა, როდესაც დაღლილს
და როცა ძილმა ჩამოტეხა
წამწამთა ტოტი,
მაშინ კიბისქვეშ აყმუკლდა ძაღლი,
ო, ღმერთო ჩემო!
ვინ უნდა მოკვდეს?!

1963



მოხუცებს თავი რომ შეასენოს

სათნო მოხუცებს,

სიკვდილი სულ გადაავიწყდათ,
და მისი ყოფნაც დაავიწყდათ დედამიწაზე.
სიცოცხლე სურთ და მასზე ფიქრი აღარ
ასვენებთ.

და... სწორედ მაშინ მოდის

სიკვდილი.

1968



* * *

ჩემს ფიქრებს სრბოლას ვერავინ დაუშლის
(მოიკალ თავი, თუნდაც ჯვარს ეცვი)
ხან ქვესკნელს ჩადის, და ხან სივრცეს
გასდევს ზოლივით.
და... მტკაველ-მტკაველ აქვს გაზომილი
ქართული მიწის სიგანე და
სიმაღლე ზეცის.

1981



* * *

თეთრი შარფები მოუხურიათ
და გზის პირს დგანან
ნორჩი ხეები.
მივყვები სოფლის შარას მოთოვლილს
და შენი ნახვის მახრჩობს წყურვილი.
გუბის ნატეხში –
გდია ფოთოლი,
კანდაშაშრული –
მამაჩემის ხელისგულივით.

1982



უცდის პოეტი სიკვდილს...

არავის სჯერა ცოცხალი პოეტის,
რადგან სხვებივით წუხს, ილხენს, დადის...
მათ არ იციან,

ან საიდან უნდა იცოდნენ,
რომ მხრებით დააქვს დედამიწის ბოლმა და
დარდი.

სხვები მიდიან... ის არსად მიდის,
რადგანაც სიტყვამ მწვანე ბალახად
უნდა იცოცოს –

კიდიდან – კიდით.
და... უცდის პოეტის სიკვდილს,
მერე, რომ იცოცხლოს...

1969

* * *

ქარები სადღაც მიიჩქრიან –
გაღეღილ მკერდით,
აწეწილ თმებით.
ზეცას მგლისფერი კვლავ დადებია.
დაბარბაცებენ
მთვრალებივით გრიგალში ზღვები,
ფეხზე ვერა და ვედარ დგებიან.

1966




შეგვებარო მინდა უცხა

„ობილისი-ფოთი“ მოვდივარ და მოვიჩქარი...
და მომაფრენს მონატრების
აგონია.

შეგვებარო მინდა უცხა,
„დაგა!
დუგი!“ –
ბორბლების ხმა
ნუ გგონია, –
მატარებელს, დედა,
ჩემი გული უცემს!..

1970



ჩემი მოები

ო, ჩემი მოები,

მოები ქართული,

მაღლები, მაგრამ უდვოთოდ კეთილნი,

პირდაპირი სხივთა არილით.

ქათქათა თოვლით წელგადრეკილნი;

შორს...

შორს მიდიან აქლემების ქარავანივით,

ო, ჩემი მოები!..

1964



* * *

ბ. ჭ.-ს

შენი თვალების ოკეანიდან
ბევრჯერ მოვუშვი მე მდუღარე
ცრემლის ონკანი,
და დამავიწყდა: უსუსური, შენ რომ ხარ
ქალი,
ჩვენი ლამაზი სიყვარული –
ეს, მე მოვპალი,
შენ არაფერში „არ გიდევს ბრალი“.

1969



* * *

რომ ამოჰყვები სადარბაზოს ცისფერ
კიბეებს,

ქვის გულის ცემა იგრძნოს შენმა
ირმის ფეხებმა.

ენაჭიკჭიკა —

ჩემი კარის ზარის დილაკი,
ო, როგორ ელის,
შენი ნაზი თითის შეხებას...

1976



პატივები

თქვენ მგლის მოდგმა ხართ ჩემო კარგებო,
ფუჭმა ცხოვრებამ
 ძაღლად გაქციათ,
და შეგაკრიჭათ ველურობის ზნე და ფაფარი.
ჯიშსა და ჯილაგს იხსენებოთ და
 აღარ ეშვებით.
და გიხარიათ, რომ წინაპარნი,
 უდრან ტყეში რომ დათარეშობენ.

1988



მუდმივი სასჯელი

მამულო ჩემო!

მსაჯულებმა —

ჩემმა დღეებმა,

ძველმა დღეებმა თანაც ახლებმა,

დახვრება

და არც გადასახლება,

შენი მუდმივი სიყვარული —

მე მომისაჯეს.

1973



* * *

სიცოცხლე მუდამ არის პირფერი,
ზოგს შარბათ ასმევ
და ზოგს სამსალას.
ზოგ-ზოგს მნათობებს უსვამს ძიძებად.
მხოლოდ მან უწყის,
ვინც ცხოვრების თასი დასცალა,
სიკვდილი ყველას
ერთნაირად უმასპინძლდება.

1986



ჩემს პატარა პუნდულზე მსახლობ

შორზე უშორეს წარსულიდან ბრძოლით
მოსული
სიყვარულის და
სითბოს მთესავი,
ვარსკვლავებთან და მთავრესთან ახლო,
(არც მეზობელი, არც ნათესავი)
სულ მარტოდმარტო
ჩემს პატარა კუნძულზე ვსახლობ.

1992



ჭამე ჭაღესტაძე

არსით ჯოყოლა,

და არსაით ზვიადაური,

გამოქცევია წარსულ დროის წყვდიადს –

აული.

ალაპს

შესთხოვენ შველას ლეკები,

მათ არ იციან, ცის შავ საშოში

რამდენი მნათი ჩაისახება

ამ უზარმაზარ ღამეს

დეკემბრის.

1973



ქვისმოლელები

მოთქმა-წუხილის ცრემლში მითვლემილ
საფლავის ლოდზე სხედან
ქვისმოლელი
და ხსოვნას პირქუშ ქვაზე კაწრავენ...
უმზერს სიცოცხლე –
გასაბაწრავი.

1961



* * *

დამის ნაშობი და ნაშიერი,
პოეტებს დაეძებს სიკვდილი
მშიერი,
შეჭმა სურს,
დროს უცდის,
რომ ტყორცნის არგანი,
ვერ შეჭამს, დიდია ზოგ-ზოგი მათგანი.



* * *

ისევ ღრეობენ... და ცის ქვაბში
დახარხარებენ

ლოთი ღრუბლების

შავი დევები.

სიცივე მოაქვს წელგადრეკილ შიშის
სახედარს.

დამეს კი მთვარე ჩაუბლუსავს ხელში
ფარივით,

ელვის ხმლის ქნევით

მიისწრაფის –

დღის შესახვედრად.

1961



შემოღვევა ეტრის ბაზაზნულს

ხელს უშლის,

შუაში დგას ზამთარი –

მურმანი,

ყვითლდება, ჭლექს უჩენს ტრფობის

მუგუზალი.

ოუმცა მზე,

ცას და ხმელს ათბობს და ანათებს.

წვიმის კალმით წერს და გაზაფხულს

უგზავნის,

მოხუცი შემოდგომა –

ფოთლების ბარათებს.

1964



გადავდიგარ მეორე მხარეს

საწუთოს ურმის კოფოზე გზივარ,
მივერეკები დღე და დამეს –
ჩემს შავ-თეთრ სარებს
და... ორმოცდათს გადავაბიჯე.
მეცვალა მხარი,
გადავდივარ მეორე მხარეს.

1991



ცოტაც და...

ამ ცისქვეშ ყველაზე ლამაზად,
ჩემს საოქმელს,
სხვა არა, მე ვიტყვი.
ჯანდაბას სკიპტრა და ტახტები.
მივიღვარ...
მივალ და
მივიღტვი...
ცოტაც და...
პოეტი გავხდები.

1959



* * *

დაუნდობელ და ცბიერ საწუთოს
ვეღარ გაუგო ქვეყნად
ვერავინ.
და ისე, როგორც ტატოს მერანი,
დღეები სადღაც,
„სამძღვარს“ იქით
მიგვაქროლებენ.


1977



რომ...

ჩვენ გვაინ, მაგრამ მაინც გავიგეთ:
რომ კბილი მოგვჭრა
წუთისოფლის მწარე ნაყოფმა,
რომ კვლავ გვაშინებს შორეული გზები –
ტიალი,
რომ ჩვენ ფეხდაფეხ დაგვდევს არ ყოფნა,
ყველა მოკვდავში,
რომ სიკვდილის სუნი ტრიალებს...

1989



0ცის... არავინ

ხელში უჭირავს მზის კელაპტარი
ცას,
და დასავლით იჩქარიან
დღეთა დასები –
შარბათში –
შსამის ნელ-შემპარავნი...
და, მე რომ ვცოცხლობ... მე რომ ვარსებობ,
ღმერთო!
შენს გარდა იცის არავინ.

2013



სამაია

ვარდებით მღერის –

გამზირთან სკვერი

და ხალხის მზერა ჰყავს

გაბაწრული.

და ათი წელი მიიწურა სულ სხვანაირი,

რომ მარმარილოს სამი ქალწული,

ფერხულს რომ უვლის

ხელში დაირით.

1979



ოქროს უზალთშვებს

მმები: შემოდგომა და ზამთარი,
ქარით და ქარიშხალით
ერთურთს კვლავ შეება.
ყინვა ნეკნებს უმტვრევთ ბრძოლაში
გართულებს...
სურთ შეარიგონ და გამხდარი სეები,
მათ ფეხქვეშ ყრის ფოთლებს –
ოქროს უზალთუნებს.

1991



800 წილი ღამო

ჰაუ!

რამდენი წელიწადია

ვლეწავ და ვლეწავ ფიქრების კალოს
და ქართულ სიტყვას, რომ ვუსინჯავ ფერსა
და გემოს.

ვით ჩიტი ღამო ვგალობ

და ვგალობ...

და პოეტობას ვჩემებ და ვჩემობ.

1991



* * *

მოწყდა საბუდარს და მიიწევს ზეცისკენ
ზღვა,

და არწივის ფრთები კვლავ
მოისხა.

ცრემლი და წუხილი კვლავ დადგა
ზეინებად...

და მერე დაღლილი,
უამს საღამოისას,

ნაპირზე მიეგდო დასაძინებლად.

1969



მე რომ მიყვარხარ

მოვდივარ,

მაგრამ ვერ მოვაღწიე,

თითქოს ფიქრები –

გაუვალი ტყეა უსურის.

შენ კი თვალთმაქცობ და მიამიტობ.

მე რომ მიყვარხარ, აი,

ამიტომ,

შურის თვალებით ვარ დალურსმული.

1961



* * *

როს სოფლის თავზე

მეზობლის მამალი,

მესამე დაკიდებს ყივილის

ცისარტყელას,

იელვებს ძახილი სუსტი და ნელი,

და დგება ჟამი ციურ ქვაზე აზრების

ლესვის.

და... ცეცხლზე მიღგმულ კარდალიდან,

გიო დედას ყველი,

ფიქრების რძიდან

მთავრესავით ამომყავს ლექსი.

1972



დღე-დახვე

ჩვენი სიცოცხლის ცად აწვდილ ტოტებზე
იმედის ჩიტები სხედან
და... ფრთხებიან.

წუთებმა რწმენის მზე –

წყვდიადში ჩაქოლეს,
მიტომ რომ დღე-დამე სიკვდილის ფრთხია,
ჩვენ არყოფნისკენ რომ მიგვაქროლებს...

1981



* * *

ქარის უდელში უხმოდ შებმული –

ზვირთებს

ზვირთების მისდევს

უევარი...

ტეხენ ზღვის ყამირს შავს და ხვლიფიანს.

წყლიდან კი ელვის მავთულები

ჩანს დაგლეჯილი,

და აქ სულ მალე აშრიალდება –

თოლიების ფრთათა ჯეჯილი.



* * *

დუღს და რძესავით ისევ გადმოდის
ზღვა,

მიწის ქვაბში დაუტევარი,
და ახლაც ქაფის ჯაჭვებსა სწყვებს,
როგორც წინა დღეს.

ქარი –

კურდდელი,
ტალღა – მწევარი,
ნაპირს მოაწყდნენ... და ჩირგვებში
გაუჩინარდნენ...

1967



* * *

თხრილის სარკეში იხედებიან
ძეწნები და თმებს
ელვაზე იწნავენ –
თაგს აწონებენ დედა – ბუნებას.
საფლავებზე კი,
რომ ამოდის ახლა სიმწვანედ,
ბალახი არა, მიწა ჩვენს მკვდრებზე,
ისევ რადაცას გვეჩურჩულება...

1991



აჯობე ეშმაკს

გვასწავლის ბრძენი:

შორს არს სამოთხე,

გზა დევს ცოუნების, ჭირის და ვარამის.

აჯობე ეშმაკს...

სულ უნდა ამო ჰქნა,

რომ გაანათოს დრო-ჟამთა წევარამი,

პოეტო!

ლექსაც –

სანთელივით უნდა ჩამოქნა.

1989



ჩემი მზო

გუბეები კი,

სოფლის გზა-შარას,

ატყვია ისე, ვით ანაცერი.

ეზოში ნისლი —


ცის ლილაში ისე ივლება.

და ხეიბარი ოწინარი ჭას კვლავ ჩასცერის

და ელოდება —

წყლის მამალის ამოყივლებას.

1972



* * *

მთაში ტყეებს და ბარში ყავვილებს,
აპრილი აცმევს სტავრებს
და დიბებს,
ცის ნაკვერძხლებზე ხურდება მზის ვეება
კეცი.
და მაღალ ხეებს ბუდე თუ ჯიბე –
საგსე აქვთ კვერცხით.

1963



* * *

გაჩენის დღიდან ერთ ღმერთს ვეტრფოდი –
ქართულ სიტყვის ღმერთს.

და აი, ახლა ეს უსახური,
გადავიყვარო, შევიძულო, მიწყებს
ლოლიალს.

მე, პოეზიის მაღალ ღმერთის –
ვიყავ მსახური,
რა ვქნა, სხვა ღმერთი მე არ მყოლია.

1979



* * *

იყო ქალაქი,

იყო ციხე

იყო, ო, იყო...

სევდითმოსილი უკან მივტირით

აში გარდაცვლილ თუ მოკლულ თარიღებს,
მაგრამ ჩემს ციხეს –

ნაგებს ქართულ სიტყვის

ქვითკირით,

ჟამი

მომხდური, ვერასოდეს ვედარ აიღებს

1981



ზონი

„ქველი ავიგე ხელთუქმნელი“
პუშკინი

მე, ნახევარი საუკუნე მთაში თუ ბარად –
სახელს ვთესავდი,
გმარგლავდი,
გმკიდი –
იმედით, რწმენით და სულ სხვა ჟინით,
და მოვაგროვე კიდიდან-კიდით
სახელის ნამჯა,
ჩალა, თივა და...
დავდგი ზვინი.

1972

ფელეფონი

მე და სიჩუმე პვლავ ვუზიგარო
საწერ მაგიდას

და უცებ ზარი —

გულშემზარავი,

ავიღებ ყურმილს, არსად, არავინ...

ალბათ ის არის...

და შევიგინებ.

ტელეფონი კი კამოდზე ზის თუთიყუშივით
და იემორებს ერთსა და იგივეს...

1976



მუხრია

ხელში ეკავა გაზაფხული ატმის ტოტივით
ციცქა მდინარეს
და, როგორც მოკლე შარვლიანი თავნება
ბიჭი,

გარბოდა...

ახლა თოვლის ტახტზე წევს გაშოტილი,
მოწყალების და – ზამთარი – კი ყინვის
დანით

ვერ უხსნის კრიჭას.

1964

ლეიტონი

გლოგა

წამი-წამ გარბის ჭიშკრისკენ მზერა,
ფიქრები ტოვებს ყვავილებით დაზინულ
კუბოს:

ცოცხალი,

მკვდარი, დღეს ყველა მოვა,
ვინც სათვალავში პყავს და ეგულვის
და შავითმოსილ ფანჩატურში
ბოლთას სცემს გლოვა –
თვალცრემლიანი, მწუხარე და
წვერმოშვებული.

1961



ჩემი ოდა

განთიადამდე გრიგალი ქროდა,
არხევდა თეთრად
დაპენტილ ტოტებს.
და, აი ახლა, მზის ღიმილზე ბებერი ოდა,
პირიდან იდებს და ქათქათა თოვლის ჭიქაში
დებს ლოლუების ვერცხლისფერ
პროთეზს.

1962



მიღისმვრა

(ხაიებაკი)

დიდი შიშით და დიდი წვალებით,
ცამ გამოსტაცა
თითქოს პირიდან
შეამ-გესლით სავსე ურჩხულს თუ უნასს.
ვით ბაგშვი ყურში წყალჩარჩენილი –
მიწა ცალფეხზე ხტუნავს
და ხტუნავს...

1991



ჭამე, ელვა, თვითმფრინავი

შორს...

მცურავ თვითმფრინავს შევყურებ,
სხვის ნიჭს და გონებას ვაფასებ...
ვაღმერთებ ჩემს ბედს და სვეს.
ელვა ჭადრაკს თამაშობს,
ცის მრავალ დაფაზე –
აკეთებს არნახულ სვლებს...

1959



* * *

სინათლის ქვეყნიდან მოვიდა ღამე,

სიჩუმის ფსკერზე –


უთვალავი აანთო კვარი.

თუმც ელვის თვალების ხშირი პაჭუნისა,

ცას რომ უჩანდა პატარა მთვარე,

ღრუბელმა მაინც დაასაჭურისა.

1965



ଶବ୍ଦ, ୩୦୩ କବିତା ପଦ୍ମନାଥ

ଯଗଳିଲେ ରାଜାମଣିହାତ୍ମା
କରିବାର ଶାମତା କାର୍ଯ୍ୟରେ...

ଶ୍ରୀ,

ପିତା କେବଳ ପଦ୍ମନାଥ,

ରାଜାକାର ନାତଳିତମନ୍ଦିରି -

ମନମାଗଳିଲେ ରା ଫାରସ୍‌ଜୁଲିଲେ

ଶ୍ରୀ,

ରା ଏହିପରିବାରରେ,

ବିଜ୍ଞାନିକାରୀ ରା ବିଜ୍ଞାନିକାରୀ.

1994



აბრაზინა

სოფლის შარაზე უთენია ვიღაც იმდერის:

ნეტავი შენი

მე რა მემართა,

ო, აგრაფინა!

ო, აგრაფინა!

როგორც ხოხობი ტყეში მწევარმა,

ამ სისხამ დილით,

შენმა ტრფობამ წამომაფრინა,

ო, აგრაფინა!

1961



ო, ღვთისნიერო

ცისა და მიწის შენ ხარ მეუფე,

ერთადერთობის –

შორეული შიში გახურავს.

დაგანებულა შენში ზესთა შნო და იერი,

მიხმე და მოვალ შენს სამსახურად,

ო, ღვთისნიერო!

1988



ხიდებებ

ხიდზე ვდგავართ...

ხიდქვეშ ისმის:


— ერთი კოცნა მეც მიბოძე,

აი ასე, გენაცვალე...

გარს უვლიან ხიდის ბოძებს,

ისმის ტალღების ტკარცალი...

1958



* * *

ვმკითხაობ...

ვით სარკეს ჩავცქერი,
მაგრავებს ეს ყავის ფინჯანი
და გხედავ: ერთმანეთს სინჯავენ
თვალებით...
ჩემი სიცოცხლე და სიპვდილი.

1960



* * *

როდესაც ქარები მსუბუქ ფრთხებს გაჲკრავენ,
მათ აღა ეტყბათ
სიცოცხლის ნიშანი.
(ოუმც სიპვდილს გულში არ გაივლებენ)
და სულს დაფავენ მხურვალე ქვიშაზე,
ზღვის ქაფის
ქათქათა ყვავილები

1957



ტარაგანა

მიყურადებით და უხმაუროდ,
გამთენისას,
მეზობლის მხრიდან,
ისე გამოჩნდა ტარაკანა დამენათევი,
თითქოს და შავი „მერსედესი“
(რაღაც საეჭვოდ)
ჩემს კართან შესდგა, წყვილი ანტენით.

1956



ქვევრში ათასოდეულები ხმიანებს

ქვევრში დამწყვდეულია ჭინკები,
დარაჯად უდგას დიონისე.
ჭინკები სვამენ ღვინოს ისევ,
მოვრალები გზას ვედარ იგნებენ...
კამპამებს უშქარი მურიცხი
ქვევრში,
პირველყოფილი იერით.
შრიალებს ვენახი ურიცხვი,
ვენახი –
ქართველის სიძლიერე.
ქვევრში დის სიცოცხლის მდინარე,
დუღს დარდი...
ცრემლი და ვაება.
ქვევრში ათასწლეული ხმიანებს –
ქართველი კაცის უკვდავების...

1969

* * *

ფოთლები ჩიტებივით,
შესევიან ღობე-ყორებე.
მალე მოვა შემოდგომა
და ქარს ყველას გააყოლებს...

1960



მათ იპიტხონ თორმეთ...

არ იციან რა ქნან...

და გვიმზერენ შურით...

ედებიან ღობესა და ყორეს

და ფიქრად აქვთ —

ქართულ მიწას ხელყოფა.

მათ იდარდონ...

მათ იკითხონ თორებ

ჩვენ კი ჩვენი —

ქართველობა გვეყოფა!

1989



နိဂုံး

အရ မျှော်စာ ပျော်စာတဲ့ ပျော်စာ၊
ရောမ စိုက်ဖို့မဖို့ မျော်စာရာ မျော်စာ。
ဖြစ်၊
ရွှေရွှေ မျော်စာ၊ ရွှေရွှေ မျော်စာ၊
အမြတ်စာ ပျော်စာ၊ အမြတ်စာ၊
ဒေသရွှေ မျော်စာ၊ ဒေသရွှေ မျော်စာ၊

1957



* * *

იმედის ჯოხით ჩემი სურვილი
გაივლის ათასს ტყესა და
ველებს...
და მუდამ ახალ ფეხადგმულივით,
სპეტაკს და სუფთას,
რომ არ წაიქცეს,
აშველბს ხელებს...
მაღლობა უვალს!..

1968



* * *

გაგროვე დღეთა ყვავილებიდან
ტკბილ-მწარე,
მე ჩემი სამყოფი.
და, ახლა ვზიგარ და ვნეტარებ...
ჩემი მაქვს ყოფნაც და
არ ყოფნაც,
ვით ფუტკარს ნესტრი და ნექტარი.

1989



* * *

ცამ ატირება დააპირა,
გადაიფიქრა უცებ,
თიბათვემ ცელი კვლავ აპირა,
გლეხი ყანაში თოხს უგლის.
გავცერი ღელვას და...
ზღვის ნაპირას
ვზიგარ შაპივით ფეხმორთხმული.

1992



* * *

სძინავთ ყვარლის მთებს...

და ციკ გომბორზე

სულ სხვა მშვენებით და სილამაზით

ანთია თოვლი —

სული წინაპრის,

ფარიფით გდია ველი ალაზნის,

ალაზანი კი ზედ ადევს,

კით ხმალი ირაკლის.

1967



სამადლობელი

(ირონული)

მადლობელი ვარ, მაცხოვარო,
ყველაფრისთვის:
ორმოცდათექქსმეტის –
ცხრა მარტისთვის,
ოთხმოცვდაათის – აპრილის ცხრისთვის
და... ოვრამეტი დეკემბრისთვის,
მაგრამ უფალო,
ყოველი რისათვის?
მადლობელი ვარ ზეციერო
ყველაფრისათვის!!!

1992



ქაშუათი

შეხედეთ ქაშუეთს ღვთისმოსაგნო!

პედლებზე ქაშუეთის –

ღვთის „წყალობა“ და „მადლი“ მირონის,

ძმათა „დანდობა“ და „პატიება“

„სხვაც..“

გიო ქართველთა „საქმენი საგმირონი“ –

ამოტვიფრული არის ტყვიებით...

1992



ა0, ესაა შვილობა ჩვენი

დედას გეძახით,
დედაო – მიწავ!
ჩვენს შვილობაში ამით ეჭვებს თითქოს
გიფანტავთ.

ცა,
კი, ვინ არის,
რომ მარდეჭამს მისკენ ვიწევით.
გჭამთ...
გჯიჯინით...
გბეკნით...
მერე მუცელს გამოგიფატრავთ
და უსირცხვილოდ შიგ ჩაგიწვებით;
აი, ესაა შვილობა ჩვენი დედაო – მიწავ!

1968

* * *

ცის ლამაზ ბაღში მწუხერი,
ჩითავს მნათობთა ირის.

სეებს ფოთლების ცრემლი ცვივა...
სიყვითლე ტირის...

გზას მიუყვება დამე –
გარდაცვლილი დღის ქვრივი.

1961



* * *

სასაფლაოზე ფეხაკრეფით შემოდის მწუხრი,
ვით დვთისმოსავი,
ან ვით მსახური,
და ქვლავ სიბნელის ნაწნავებს იშლის...
მერე კი უშნო და უსახური –
საფლავის ლოდზე –
სიკდვდილივით დაჯდება ჭიში.

1978



პვირტები

ყოველ გაზაფხულზე,
ნუ გაგიკვირდებათ,
რომ ატმის ხეებზე ფიქრები მაწვალებს,
რომ ათქვირებული —
ქალწული კვირტები,
წვიმის წვეთების პატარა სარკეში
იხედებიან და...
მწვანედ იღებავენ წამწამებს...

1962



ბეჭიდან მიმზეს

სხვას ვით დაინდობს,
მეზობლის კატამ,
თავის მკვდარ პატრონს წაკვნიტა ცხვირი,
რასაც სოფელი დღესაც რომ ტირის...
თუმცა მას შემდეგ წლებიც კი
გადის...
მაგრამ მგონია მუდამ ცბიერი,
პნელიდან მიმზერს თვალები კატის...

1964



* * *

ხეს მოწყვეტილი ციცქნა ფოთოლი

(აწ დავიწყების გზებით მავალი)

ნიავის ფრთებით შორს მიფარფატებს.

შენ თვალს აყოლებ...

და თავს შიშველ მხრებში ჩამალავ,
როგორც წერო ან როგორც ყარყატი.

1966



* * *

სანაპიროზე —

მოვარის სევდა კვლავ აფენია,
დამის სიღრმიდან მწუხარისფერი ხმა ისმის
ორთა,
და იქვე ნავი,
როგორც ფინია,
მხნედ გაწოლილა —
ხდების გეება ქარიან ტორთან.

1961



မოန္တာဒေသ အကျဉ်းချုပ်

စာမာရာနေဂြာများ ရှိနိုင်ရန် လုပ်နည်း –

မာမာနေဂြာများ

နေဂြာများ ပေါ်လဲလောင်း

မြန်မာနေဂြာများ၊ တော်လဲလောင်း မြန်မာနေဂြာများ

နေဂြာများ၊

စာမာရာနေဂြာများ နေဂြာများ မြန်မာနေဂြာများ

မြန်မာနေဂြာများ...
မြန်မာနေဂြာများ


1962



* * *

თვით ცათა მეფე თვალს არიდებს:
ქარგასლას მარიხის
და ოტარიდის
ობლების კვერი კი არ ცხვება,
და სადღაც შორს –
წვრილ-წვრილ მნათობთა ფიცხებში,
ჩემი შორეული,
დარიბი წინაპრები სახლობენ.

1961



* * *

ხმა დაიბოხა უეცრად მეხმა
და მერე ღრუბელს,
შავად თმა გაშლილს,
ამოუკოცნა თვალები სველი...
ცას გაუფანტა მუცელი ელვამ,
ზღვამ გადმოყარა ნაპირზე ფაშვი.

1967



ჩვენი პათშრა

წევს კიბის ქვეშ და ბნელში ბებერი,
გრძელ და კუზიან კუდს აფათურებს,
ამ ცხოვრებისგან გულდაწყვილი...
კაცმა არ იცის,
ჩემი ბათურა,
ამ შუაღამის ცას რას შეწირის...

1992



* * *

იყივლებს დილა...

და ბნელს ამარცხებს

ნათელი, როცა ახლო-მახლო

შზეს დაიგულებს.

და, ღრუბლებს ზღვაში ჩამდგარს წელამდე,

ქარი უგარცხნის წვიმის საფარცხლით

სველ,

შავ კულულებს.

1965



* * *

შემოდგომის ტყის გზა-ბილიკებზე
დავეხეტები უგზო-უკვლოდ,
როგორც ჩეჩენი.
გწუხვარ: დიდ ხეებს, რომ ფოთლების
ხსოვნაღა
შერჩათ.
ბუჩქთან ზღარბი დევს საჩეჩელივით
და მასზე მიყრილ ბაბუაწვერას
ნიავი ჩეჩავს...

1957

* * *

არაგვის კლდოვან ნაპირზე,
სადაც ბუდობენ ორბები,
ზის ლოდი –

შავი მთის ქვრივი,
დარდ-ფიქრებ შემოსეული:
იქვე რიყეზე შიშველი ყრია ქვები და
კენჭები,
იმ ქვრივი ლოდის –
ობლები.

1960



* * *

ცივ სიბნელიდან გამოაჩენს ოქროს კბილს
ელვა,

ქარი კოცნის და კუთხეში ამწყვდევს
სუსტ,

ტანწერწეტა ქალწულსებს წვიმის.

ცის ლურჯ სუფრაზე –

წვრილ და მწიფე
მნათობთა მარწყვი

შემოაქვს დამეს მთოვარის სინით.

1950



* * *

ეზოს სიბნელის ადევს ბოქლომი,
 და ძაღლი არა,
 შიგ თმაბურმგლა შიში დავლავებს...
 განათლდა სიგრცე ნისლჩამდგარი და
 შებურვილი,
 და ცის თონეში ჩააკრა დამტებ,
 მთვარე –
 კახური შოთის პურივით.

1956



* * *

როგორც გათენდნენ,
ისე დაღამდნენ,
მიწა იყვნენ და...
იქცნენ მიწადვე.
მწუხარში მოისმის
ქვათა ღაღადი,
მწუხარში იღვრება ქვათა
ჰანგები
და... აქ ყველაფერს –
ქვები გამგებლობს.

1968



* * *

ძაღლების ყეფით სავსეა შუპა,
ორდობეს ნეკნებს ულეწავს
ქარი
და ჯგარზე აკრავს, ვითარცა გლავეეს.
ვდგავარა ჭიშკართან,
და გუბეში
ჩაგდებულ მთვარეს
ჩავცერი ისე, ვით ნატეხ სარკეს.

1970



* * *

ხევბს ჩხრეკს ქარი, ვითარცა ტყვეებს,
მლოცველებივით,

ცისკენ, მაღლა ხელებაწვდილებს.
სადღაც, შორიდან ისმის „ნადური“.
ტყისპირ, მინდორზე რბის ნაკადული,
როგორც მდინარის სიჭაბუქე
და სიყმაწვილე.

1962



* * *

დამის კართან –

დილა ბდავის,

პატრონს უხმობს –

მზეს,

აწ ელის,

გასკდომაზე აქვს მას ცური,

(ბოლმა ღრუბლებს ახრცობს შური)

ცას, წინ უდგას მთვარის დერგი

და რძიოთ სავსე მნათოა კერტებს –

შიგ აწველის...

1966



* * *

დიდხანს იდავეს...

იქუხ-იგრგვინეს,
მერე ვეება დამის დარბაზი
უცებ დატოვეს შავმა ღრუბლებმა.
არ მესმის, მაგრამ ვიცი შორიდან,
ვარსკვლავთა ენით
ცა რაღაცას მესაუბრება.

1988



* * *

ადმოსავლეთით სინათლის ეტლს
მიაქროლებენ
ქერუბიმები...

ცეცხლი ცვიგა მნათთა ტაიჭებს.
ეპა, სელენე!

ქრება შენი მთოვარის კერა.
ჰორები ლურჯად გააღებენ ზეცის კარიბჭეს
და გამოჩნდება შუბლმაღალი, მზე,
ვითარც ჰერა.

1988



ათონები

წებელდის მხრიდან ფრთაგაშალა უეცრად
ქარმა
და გადუფრინა ათონს და
რიწას.

ზღვას მიაბლავლა ღრუბლების ნახირმა.
დამის ჭიშკართან, დღეს მოწყდა ყინწი,
ცამ –

ვარსკვლავების თვალები გაახილა.


1958



* * *

მოიტყორცნება ცაში ქუხილად –
 ზეგსის ძახილი,
 ცახცახებს ელვა –
 ფერმკრთალი ჰებე,
 რომელიც მარტო ყოფნას
 ვერ ითმენს.
 ყომრალ ღრუბლებით აბურდული გრიალებს
 მთები,
 თითქოს ჰერაკლე ერკინება –
 მეფე ევრისთევს.

1966



ოფიციალური და 60შ0

საქართველოში ოჯახს, ოდიდან,

სიხარულს გვრიდა გაჩენა ბიჭის,
რადგან მის მიწას, განსაცდელი მუდამ
უცდიდა...

სამშობლოსათვის თავდადების რწმუნა და
ნიჭი,

გამოჰყვა ქართველს,

დედის მუცლიდან.

1992



* * *

ბეწვის ხიდია დღე ყოველივე,
გავალოთ?!

არ გავალოთ?!

ცეცხლი და ნალმი ძეგს,
რომ წუთისოფელი უფრორე გვემძიმოს.
მიწისძვრა არა!

გვანჯლრევს და გვადგიძებს,
გამჩენი, სულ რომ არ ჩაგვეძინოს.

1992



* * *

ანდამატივით ცისკენ იზიდავს,
თავისკენ უხმობს მნათობთა ქორო
და მეტეორთა შმაგი რაშები
მაინც მწყერივით მიწაზე ცხოვრობს –
წუთი აფრენის,
წამი დაშვების.

1965



* * *

შურმა და მტრობამ და სიძულვილმა,

ჭირი შეჰყარა ხახულს და

ზარზმას,

გულებს და მაღალ ციხე-კოშკებს გაუჩნდათ
ბზარი...

კმარა!..

სამშობლო! –

იქუხოს აზრმა,

აშ სიყვარულის შემოვკრათ ზარი!

1992



* * *

სივრცებს ტანზე ბნელი მოუსხამო,
მაგრამ ყოველი წუთი და წამი
გრძნობს, ცივ სინათლის
ხელის შეხებას.
კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს დამე
და... დღის უფსკრულში გადაიჩება.

1961



რაც იყო, იყო...

აბასების და მაპმად-ხანების,
ისევ ატყვია ნაქუსლარები
საქართველოში ხიდებს,
ბოგირებს.

რაც იყო,
იყო... აწი მომხდური
ქართულ მიწაზე ვერ იბოგინებს!

1991



* * *

გადასერილი ქლვის ცისფერ ნაკადულებით,
შორით,

ღრუბლების შავი ხევია,
ხევს მიღმა, ღამით რომ ციმციმებენ,
ანგელსების არის მძივები,
ღმერთების შიშით, ცის მინდორზე,
რომ დაბნევიათ.

1957



* * *

ბობოქარ ზღვისკენ მიიჩქარიან
შავი დრუბლების
შავი რაშები.

ცა, ელგის მარყუჟს სტეორცნის, მაგრამ,
გერ უდრეკს კისერს.

წვიმით და დელფით სანაპირო დანაგვიანდა.
ქარი ტალღების იარუსზე კვლავ არბის ისე,
ვით მოყვარული,
სპექტაკლზე რომ დააგვიანდა.

1967



* * *

ნაპირზე ამოყრილ ნავებს და კატარღებს
და ჭკვიან დელფინებს –
პატარა ხომალდებს,
რომ მოასულიეროს, ქარი ჭავლს ასხურებს...
ზღვა მზით გამდნარი არის ფოლადი,
მიწის ვეება ყალიბში –
ჩასხმული.

1965



တေတာရေး ရှင်များ

စာနာပါရာစိုး ဒုသိုက္ခရာ နှင့် မြှုပ်နည်း
မိုင်းဆွဲ မာန်-နာများ,
မြောက် ပို့ဆောင် ဖျော် နှင့် ဂာလာမိုးမြောင်း...
ဒေဝါး ဖျော်ရမာစာရ် စံပို့ရောင်း နှင့် တေတာရေး
ရှင်များ
နှင့် ဖျော်ဆွဲ မြောက်စာရ်
နှင့် ပို့ဆောင် ပုံမှန် ပေါ်ပေါ်မှုများ.

1962



* * *

რომ გამოსტაცეს სიცოცხლეს,
გულში იკრავენ ტალღები
ზღვაში დაღუპულს,
და მის სულს.
მზე დასთამაშებს ბალღივით
ზღვას,
თოლიებით დანისლულს.

1962



* * *

ალუხის ტოტზე შესკუპულა და, რაღაცის
თქმა სურს,
პირს აღებს პვირტი,
კართან მდგარ მარტის არ ესმის „არა“!
ხის ფუდუროში შემძვრალა ჩიტი
და კუდი უჩანს –
ჩაქუხის ტარად.

1958



* * *

მარადეამს ცისკენ ხელაპყრობილი,
რწმენას თუ ჭიგოს –
ლოცვასავით მიჰყვება
ვაზი,
და ვით წარსულში, ახლაც ცრემლში
ცურავს
ქართლივით.
მომხუდთა მიერ გადაბუგულ ჩემს
ქართულ ცაზე –
მთავრე –
პკიდია ქრისტეს კვართივით.

1972



* * *

ქარიშხალით საგსე ცის დიდ თასივით,
 ხელში უჭირავთ ოკეანე,
 ოკეანიდებს.
 დევს დელვის სინზე ხმიადივით ცელებესი,
 და დევს იავა,
 სად ცისარტყელად კრთის მეათე,
 ქვეყნის განედი.
 არაჩანს ქრისტე,
 არც მუჟამედი,
 გვა, გრიგალმა, ჩვენი გემი ამოიღლიავა.

1982



* * *

ქუხილსა სდევს...
და შემკრთალი,
მიჰქრის ელვა ტანწერწება,
და მოსასხამს აჩენს წითელს,
ცის ქვევრი კი სულ წვეთ-წვეთად,
გარსპლავებმა ამოწრიტეს.


1961



* * *

გზას რომ მისდევენ აკაციები,
თითქოს,
თეთრ ჩოხიანი გზირებია.
ბუჩქებიდან კი ლურჯი იები,
ქალწულებივით იმზირებიან.

1954



* * *

როცა იელვებს, მე მეჩვენება:
გმირი ჰერმესი, რომელიც არგუსს,
ცეცხლის მახვილით,
სასიკვდილოდ მარადის სდევდა,
მნათობები კი —
დიოსკურებად,
მზე და მთოვარე —
ზექსად და ლედად.

1961



ALBERTSU

* * *

წაულებია პონტოს ნაპირი, —

ათასწლეულთა ქარსა და წვიმას.
აღარც „არგო“ ჩანს, აღარც „საწმისი“.
მხოლოდ აღსავლით მზე ისე ბრწყინავს.
როგორც ქვეყნიერების —
დასაწყისი.

1956



* * *

ცის ულურჯეს და კამპამა ტბაში,
თეთრი ღრუბლების მიცურავენ
თეთრი გედები,
მიწის სიშორეს ფრთებქვეშ მალავენ...
ქარი უვარცხნის ოქროს დალალებს
დილას,
რომელიც მზის სარკეში
იხედება.

1977



* * *

საუკუნის საწიერზე –

სიხარულის ჩანს ტრამალი,

მომხდურ დღეებს ვერკინები –

ჩემი ლექსების ამალით,

რვაასი წლის რუსთაველის ნასახი და
ნატამალი.

1988



შეცარი ქარიშხალი ზღვაზე

ეძინათ ტალღებს დედის მკერდზე
ჩახუტებულებს,
დრუბლების მთებში მოდიოდა მთვარე –
ყოჩალი,
და მიჰყებოდა მნათთა ამალა.
მოვარდა უცებ ქარიშხალი და ზღვის ოჯახი
ააწიოკა...
და მიიმალა.



* * *

ფიქრით და ოცნებით დახუნძლულ
ცაზე,

იმედად რომ იალებს,
მიწაზე წყვდიადს რომ მიღამპრებს,
ის, ელვა არა, სულია წინაპრის,
ათასწლეულთა გრიგალებში ნახეტიალი.

1967



* * *

წვიმდა...

და უცებ ქალწულმა დილამ –

მზე გაიცინა...

და ზეზეულად,

სხივები ელვით დალამბულ ცის საბანს
არღვევენ...

მოგარდა ქარი და ნაპირზე ლურჯი
ტალდები

გაფინა...

წამით გაამზეურა.

1958



* * *

თუ არავინ აღარ გიყვარს,
და სიყვარულს –
არ დებ ხიდად,
აღე!
შებლში ტყვია იკარ! –
წუხელ ფიქრი ამიხირდა.

1991



* * *

ჩემი არყოფნის პიტალო ქვაზე,
როცა სისხლიან კლანჭებს ალესავთ,
ვუბარებ დღეებს –
ჩემს თეორ არწივებს:
ნუდარ დამძიძგნიო!..
ცისქვეშეთში მხოლოდ ალერსად
და სიხარულად დამანაწილეთ...

1992



* * *

სინათლეს კვლავ რეგავს ცის ლურჯი
სამრეკლო,

მაგრამ ჩვენამდე,

ვერ აღწევს მზის ზარი,

და ყალყზე შემდგარი, ქარების ამალით,
მარტი დაპირებულ თოვს და ჭყაპს

გვიგზავნის,

სილურჯეს იები მალავენ.

1967



* * *

ტანზე ასხია ყინვის ეპლებად –
ათასწლეულთა ხორცლი
და სუსხი
მთას და ცის ტახტზე წევს გაფიჩხული,
და მის პირიდან –
მდინარე კი ისე გამოდის,
თითქოს დაჭრილი,
გარეთ ჰყოფდეს ენას ურჩხული.

1959




* * *

ელვა, ღრუბლის ფუდუროდან თვალს
აკვესებს,
ვით ზარნაშო.

წვიმა,
ქარის ელის ნიშანს,
რომ წყვდიადში ითამაშოს...
ცა, მნათობთა დაყრის ქვიშას
და დამის ზღვას ამოაშრობს.

1959



* * *

სულს უჩუმრად მივაბარებ –
შიშის გალურჯებულ იას,
მძიმესა და სიკვდილნარევს,
ჩავისუნთქავ დამის წყვდიადს,
და თავს ვიგრძნობ ტოლად ზევსის –
თვით მეუფის „მაღლა“ ცათა.
„დაბლა“ ერთი კარგი ლექსის
ამოსუნთქვა თუ დამცალდა.

1989

* * *

მინავლდა ორმოცი წელი,
რომ მე,
ჩემს ქართულ სიტყვას,
ვუსინჯავ ფერსა და გემოს,
და... დიდ პოეტებს შორის,
რა ვქნა! რომ...
„პირველობას“ ვჩემობ.

1992



* * *

თიბათვე მთვარის ვეება გრდემლზე –
ელვის ცელს კვერავს,
ვითარც კვერავდა.

სოფლის შუპებში, მწუხერი თვალს ნაბავს.
დღე კი მწყემსივით მოიხურავს ლამის შავ
ნაბადს,
მიეგდება მზის ჩამქრალ კერასთან.

1956



მიზონებაშლი სასაფლაო

დაბურულია ეპალ-ბარდებით
 ლოდები,
 და მზეს აღარ იკარებს.
 გადავიწყების ხელებს ბარდება
 შარა-გზები და ნაბილიკარი.
 ისე ჰყვავიან ია-ვარდები,
 თითქოსდა სიკვდილს,
 აქ არასდროს აღარ გაევლოს.

1961



* * *

მთოვარის შუქჩე ელვის ნამგლებით
მკის და მკის დამე
ოქორს თავთავებს...
შრიალებს ზეცის ლურჯი მინდორი.
გჟე, ჰე, ჰეი! –
ეძახიან დილას მამლები,
ოპო, ჰო, ჰოი! –
პასუხობენ მთები დიდრონი.


1964



* * *

წვიმიან ამინდს,
ქარის ცელით თიბავს
თიბათვე,
ვახმე! ტაროსი, როგორ გაძვირდა.
თუმცა ზვინები უდგათ დღეებს ძეგლად
დიდების,
აკაციები, თავიანთი ციხე-ტაძრიდან,
მალე თეთრ დროშებს გადმოკიდებენ.

1959



* * *

ყინვით დაზრობილ სიმყუდროვეში,
დედა – ხისა და ქარების ურჩი,
ფოთოლი ეგდო, ვით პაწია ფრთა ქეიბუროს.
ტყისპირას იდგა ნაზამთრალი პატარა ბუჩქი,
ჯაგლაგ ცხენივით –
გაძგალტყავებული.

1968



* * *

եօդատագ Մոծոլո Ռոդյեն, և մազո Տյուլա և ա
յարոծած, –

յև որո զերացո շրինելո,

մոջ թաղը ձոյթե,

իզեն ազարդյո, –

մռմյեմուս նաձորտան,

Ծալճյենուս հյուրինելո...

1976



* * *

მტრობის ხის გაბარჯდლულ ტოტებზე
მკიდებენ დღეების ყულფები.
მამულო! –

შენი ცა დაფარეს ღრუბლებმა,
და ვხედავ: ვერა-რა, ვერ გარგე სიცოცხლით
გთხოვ,

შენთვის სიკვდილის,
რომ მომცე უფლება.

1990



* * *

აღმოსავლეთით გაშლილია ცის ლურჯი
სუფრა,

და მიდის დამე

მნათობების უშქარ მაყარით.

აქ, კი, ხის ტოტზე ჩამომხრჩვალი ჰკიდია
ნამი,

მისი თვალიდან,

რა საწყლად ჩანს

მთელი სამყარო.


1967



* * *

მზის მეწამულ ძოშის პორფილს,
ტანთ მოიხამს, ვით სამოსედს,
დედამიწა ფერხთქვეშ ერთხმის...
და დურბლების თეთრი წვერით ცა ჰგავს
მოსეს,
ხელთ უპყრია მოვარის კვერთხი.

1950



* * *

ფუდუროებში დაბუდრებულა –
შეკივლება და მოთქმა ჭოტების.
და ტყეს „აღვიძებს“ ურემი და ხარობს
მეურმე.
იქვე მინდორზე,
მოწყენით მდგარ ხეთა ტოტებზე
გაუფენია დილის ნისლი და...
ამზეურებს...

1959



* * *

შუაღამეა...

ხელში სანთლიოთ,

მნათი ბნელში ეძებს მომმეს...

მოიმდერის სოფლის გზაზე ვიდაც „რეროს“...

მთვარე იხდის ღრუბლის ძონძებს

და... ეწყობა საგარეოდ...

1955



* * *

წყვდიადში წარსულის ნანგრევებს
წუხს ქოროდლის ციხე და მახათა.
დღეებს უწვიმია ად უხვატია.
მტრის ცეცხლმა თბილისის ცაზე რაც
დახატა,
მტკვარს მკერდზე მარადუამს გადაუხატია.


1986



* * *

ღრუბლების შავი დილეგებიდან –
ქარმა დაიხსნა მგალობელი
გუნდი წვიმების.
დღის შესახვედრად ისწრაფის დამე,
ვით გულის სწორთან.
ვარსკვლავნი თვალში შესციცინებენ,
შუბლშეჭმუხვნილი,
ცის დარბაზში –
მთვარე სცემს ბოლოთას.

1954



* * *

გაქცეულს ზღვიდან,
ქარი ღრუბელს გამოეკიდა...
ზღვა, კი ნაპირზე დაცემულ ლოდს
ფეხებით შედგა.

(წუხს შემოდგომა... ქუხს და ავდრდება!)
ქარს –

გაქცეულის გამოკიდება,
ზღვას –
დაცემულზე ფეხით შედგომა,
ვით ეკადრება!

1959

* * *

სანამ ფერმქრთალი დამეები ქართლის
ველ-მინდვრებს,
ვარდ-ყვავილებით გადახურავდნენ,
ქარმა იმრუშა და იბოგინა,
და ყინვის ტახტზე მწოლიარე მთამ
ზაფხულამდე,
თეთრი მდინარე მოილოგინა.

1977



* * *

რომ ბინადრობენ წინაპრების სულები ცაში,
საბუთს,

მოკვდავნი ვეღარ ამჩნევენ,
თუმცა მთოვარის ბეჭედი აზის.
მნათობები კი, დღიდან გაჩენის,
სინათლის თოკით ჰქიცია ცაზე.

1970



* * *

კავკასიონის კლდოვან ნაპირებს
ეხეთქებოდა ოერგი ბრმასავით,
იდგა მყინვარი აღკაზმული ად აღჭურვილი,
როდესაც დამემ,
სადღაც აღსავლით –
მზე, რომ ესროლა დილას
ჭურვიგით.

1986



* * *

ლეგენდებიდან მესმის ძახილი –
ამირანების და აბრსკილების
და გადამწვარი და დამეხილი.

ციხე,
ქონგურების კბილებით,
მომხდურს –
უამს პკლავ უღრენს ვეფხივით.

1973



* * *

როგორც იმედი და გადარჩენა
უამ შეუვალი ხმები მოესმის –
ნარიყალის და მცხეთის კედლების:
სიმღერის გარდა,
არას მქონეს,
ვიცი ოდესმე,
შეგიფარებენ თქმულებები და ლეგენდები.

1977



* * *

ბებერი, მაგრამ თავმომწონედ მდგარი
ფიჭვები,

აფახულებენ წამწამებს წიწვების.
სოფელი ესე, მერხეულია.
გვესალმებიან, დაბლა ხრიან თავს
მოწიწებით,
ნორჩი ხეები,

მერე ქარში „ფერხულს“ უვლიან...

1982



ვასკუნჯი და ვენისი

ჰელიოსის ნაშიერ –
კოლხეს,
ეს სიმაღლე შვენის ცის
მიტომ, როგორც ზღაპარში,
მაღლა,
მზისკენ მიაფრენს
ვასკუნჯიც და ვენიქსიც.

1969



ან-მარე

ხუთაითასწლეულის
იქით,
უფლის ქვეყანას,
მეუფობდა ან-მარე.*
კოლხეთია სიცოცხლის –
აკვანიც და სამარეც.

1992

* ან-მარე – ციხე ააცი (5185-5120 წწ.)



არგადიელები

ვითარც უფალი ზეგსი ზეგსობდა,
ყველა ღმერთს მისი რისხვა
ესმოდა
და მრავლდებოდა რიცხვი
მთიებთა,
სინათლის ზარის
ცად დარექავად.
ჯერ პირამიდებს ზეცა მხრებით
აღარ ეკავათ
და საიდანდაც ხმა ისმოდა
არკადიელთა.*

1966

* არკადიელები – კოლხთა (ქართველთა) შორეული წინაპრები.



05, ა0

ლურჯ თვალებს რომ აფახულებს
ია-ია და მიწიდან,
გაზაფხულზე რომ ამოდის:
მითაქამში ჩემს კოლხეთში
დამარხული
ვახლავთ ხსოვნა
აია¹-ს და
სული ოდის².

1979

¹ აია — უძველესი კოლხეთი.

² ოდი — წარმართ კოლხთა (ქართველთა) ღვთაება.



ათი მცენა

რა შორსა ჩანს ქანაანი,
ეგვიპტე და სინის მოები,
სადაც ნათელს მიაფენს
ქვის ფილებზე დაწერილი
„ათი მცნება“
და მეუფე იაპვე.

1991



სინამდვილე და მითები

კოლხეთის წარსულს რომ
ანათებენ,
ეს სინამდვილე
და მითებია,
მათთან დამეტი გითევია.
და განა ჟამი გადაგდლიდა
კოლხეს,
რომ ლეგენდები
მოგეტანა,
ათასწლეულების გადაღმიდან.

1982



თალმუდი და თორა

პოეტსა და მთარგმნელს ჯემალ აჯიაშვილს

დავიწყების კიკლოპებმა
ოცდაექვსი საუკუნის
წარსული რომ ვერ წარსტაცოს,
თავზე დასტრიალებს ქორად –
საქართველოს და ისრაელს
შენი თალმუდი
და თორა.

2001



გარგანჩია

არც სიცოცხლე,
არც სიკვდილი,
არც პოეტი გარგა ჩია.
შენს მტრებს ზურგზე ბოლი ადის,
ცისქენ იწევ გოლიათი,
და მფარველობს
გარგანჩია.*

2005

* გარგანჩია – ცეცხლის დვთაება ქოლხურ (ქართულ)
პანთეონში.



პელიონის ძოხები

მიჯაჭვულ პრომეთეს დასტირიან
ღრუბლები და ელვით
პირს იხოკენ –
გული ვერ მოუოხებიათ
და სველი ნახშირივით შიშინებენ...
გარსკვლავები –
პელიონის ქოხებია,
სადაც ბინადრობენ მზის
შვილები.*

1993

* იგულისხმება აიეტის ნაშიერნი.



პავპასიონი – ნოვს ხომალდია

გამოენისას ცამ მოულოდნელად
წვიმა და სეტყვა
რომ დაარისხა,
მწყურვალ მიწისთვის ხომ
მადლია?!
არ ჩანს არაფერი...
ირგვლივ ზღვა არის და,
კაგებასიონი –
ნოეს ხომალდია.

1999



პოლიტიკური უსაჭრების და ისტორიას

იცის ცამ და ვარსკვლავებმა,
რომ კოლხეთი მზესთან იშვა,
მზის ხნისა და
მზის ტოლია.

სურთ განგმირონ!!!
და სტყორცნიან გულში
ბოძალს.

ვერ მოკლავენ კოლხურ სულს
და ისტორიას,
რადგან ღმერთმა ჩვენ გვიბოძა.

1989



ხილვა: ცარცული პერიოდი

რწყავს ელგის კამპამა
ნაკადულით –
უფალი თავის ეზოს უვლის.
დამდგარა ჟამი მეზოზური,
პალეოგენური და ცარცული.*
მოჩანს მთვარე შუბლშეჭმუხნილი,
ცა –
გარსკვლავებით გაძარცვული.

1976

* ცარცული პერიოდი დაიწყო 135-137 მილიონი წლის წინათ.



* * *

ზოგ-ზოგ „მეცნიერს“,
ხსენებაც კი ზარავს კოლხეთის,
ვით გასათხოვარ ქალწულებს,
აკლებს ათასწლწულებს.
სიმართლისათვის ენა დაება.
და სიძულვილით არი სნეული!!!
ჩემს ბებერ კოლხეთს,
სხვა არ ვიცი,
რად მედავება.

1989



ხილვა: წარმართი კოლხები

გჭვრებ: წარმართი კოლხები,
პონტოს პირას დამსხდარნი,
შიშს გულში ვერ მალავენ
და მუხლმოყრით ელიან:
ლალეს¹, ლილეს², არალეს³
დილას⁴,
ყოვდილს⁵,
დელიას⁶

1979

^{1,2,3,4,5,6} – წარმართ კოლხთა (ქართველთა) ლგთაქტები.



კოლეგია ცის ტაძარში

სამეგრელოს –

ლამაზ წიგნს,
ალბათ ბევრი გადაშლის
და ნახავს შიგ – ყოველი
ნათლითაა მოცული...

სიყვარულით აგებულ

კოლხური ცის
ტაძარში –

შვიდიათასწლეული,
კვლავ მუხლმოყრით
ლოცულობს.


1963



ზეაპეპი და ჰალიმონეპი

ათასწლეულების იქით,
 მობიბინე კოლხთა წარსულს,
 შენი თეთრი დამეები,
 კვლავ მშიერი თვალით ძოვენ
 და ხმაურით აღვიძებენ:
 ფეაკებს¹ და
 ჰალიმონებს.²

^{1,2} ფეაკები, ჰალიმონები – კოლხთა წარმომავლობის შორეული მოდგმა.



შხარას, თეთნულდს და უშპას

ასიათასი წელია,
რომ ესმის მტერს და
დუშმანს,
ხმა და გუგუნი მთების.
ასიათასი წელია,
სამ ბმას,
სამ ბებერ გოლიათს:
შხარას,
თეთნულდს და უშპის,
ცა რომ უჭირავთ მხრებით.

1980



ზოლვა: დაგით აღმაშენებლი

მის მგლისფერი ისევ ადევს,
ვინაც თურქი,
საზღვარს იქით აოტა.
ათი საუკუნის მერეც,
დიდი დავით მეფის ლანდი,
დასტრიალებს კლარჯეთსაც
და ტაოსაც.

1989



დმანისი

სხვის არა,
ჩემს სულ შოორეულ,
პირველ მოსახლე წინაპარს,
აქ დაუცია კარავი,
რომელიც გადავიწყების მტკრით
ჟამა თურმე დანისლა.
მაგრამ...
რაც უთქვამს არაეის,
სწორედ ისა სთქვა დმანისმა.*

* p. s. არქეოლოგებმა დმანისის გათხრებისას
აღმოაჩინეს ადამიანის თავის ქლა, რომელიც მიღიონ
რგაასიათასი წლით თარიღდება.



8000

შავ ზღვას ჯერ არ ჰქვია პონტო,
არც სპერი,
არც ჰელესპონტი.
და მის პირას ლოცვასავით
ცისკენ მიიწევა ვაზი
და ღვთაებრივ თვალს ახელენ:
ამირანტი და ჰელაზგი,
ღვინო,
ჭური და მარანი,
ტაბაკი და საწნახელი.

1962



* * *

ცაში ვარსკვლავთა არის ნადიმი,
ახალი მთვარე გახლავთ თამადა.
ქარებმა ღრუბლებს ბოლი ადინეს.
ათასწლეულთა უღრანებში დახვალ
თამამად,
ბველი კოლხეთის წარსულ
დღეთა
ხარ მონადირე.

1967



ზეაპეპი და ქასჩეპი

დავიწყების მონანავე ნავიდან,
მოწყალე, თვალებით მიმზერენ:
ბექირები¹ და ბიძირები²,
ფეაპები³ და ქასქები⁴.
მათ ქართველობაში ეჭვმაც
რომ იელვოს,
ცრემლები წასკდებათ.

1977

^{1,2,3,4} – პრეისტორიული კოლხური (პროტოქართველური)
ტომები



ცამცხმი და ამირანი

სხედან ქართულ ზღაპრებში და
სინამდვილის მომლოდინე.
დამეებს თეთრად ათევენ:
ცამცუმი და ამირანი,
და ყარამან ყანთელი.

1964



ჩემი მზე

დღეს მოვაშორე დრუბლების
ხავსი,
გავავარსკვლავე წუთი და წამი
და მე.

ჩემი მზე –
ცის ვეება ჩარჩოში ჩავსვი
და დავკიდე პედელზე დამის,
რომელსაც ქვეყნად ვერვინ
ჩამოხსნის.

1991



მარპოზის სახარების პითხვისას

უცებ აღსდგა „ბორბალ-ქარი“,
მძინარ ზღვაზე –
მაცნედ ავის,
მაგრამ ვთქვი: სდექ!
– მინულდა.
აი, ახლა, ვით იესო, მეც იგავით
ვსაუბრობ ად მივალ ნავით
სოფელს –
ღადარინელთა.

1979



პოლიტ მნახველი

პონტოს ზღვა კოლხია და
მას „კოლხურ ენაზე“,
ვით კირკეს მედეა,
კვლავ ვესაუბრები:
ვარსკვლავთა სისხლით
დაწინწკლული
ცაა — აკვარელი.
მთავრის ფუნჯზე კი კიდია
ღრუბლები,
ფერად-ფერადი და
საყვარელი.

1966



ათასოდეულების მერვ

შოორს,

აღდგმოის კუნძულებზე,
ათასწლეულების მერვ,
ჩეხავ უღრანს,
ტეხავ ახოს:
იქნებ, კოლხი წინაპარის
ქოხი,
სადმე დაინახო.

1968



* * *

შენ,
მესამე ათასწლეულს,
ვით მეგობარს ხელს რომ
ართმევ,
ალბათ სიყვარულით დაღლილს,
მოგიქსოვა დვთისმშობელმა
ოქროს კვართი,
ქართულ სიტყვის ყაისნადით.

2001



აპასტა და პირგები

გზას მიბორკავს სიშორე
და ფეხებში მედება.
ხმები ათასწლეულთა სინამდვილეს
მირბევენ..
ხელისგულზე მიწყვია: „ავესტა“¹ და
„პირბები“²,
„პაპირუსი“³, „მკვდართა წიგნი“⁴,
„ფესტოსის დისკო“⁵,
„პედები“⁶.

2005

პ. ს. პრეიისტორიული დამწერლობის წიგნები:

¹ ავესტა – სპარსული

² პირბები – კოლხური

³ პაპირუსი – ეგვიპტური

⁴ მკვდართა წიგნი – ეგვიპტური


⁵ ფესტოსის დისკო – კოლხური

⁶ პედები – ინდური.

აღუმართავს მცხეთას ჯგარი

ცის კიდეზე ერთი მნათი,
ჩანს თამარის ოქროს ქოშად.
პომპეუსის ხიდის მნახველს
აუსხია მტკვარს აბჯარი.
ზედაზენზე რწმენის დროშად –
აღუმართავს მცხეთას ჯგარი.

1979



* * *

წარმართ ფხოველებს გამოქცეული
არაგვი,
სადაც მტკვარს უერთდება,
იქ –
სვეტიცხოვლის ტაძრის თაღები,
ცის ლაქვარდოვან სარკმელს
აღებენ,
რომ უფრო ახლოს იყვნენ
ღმერთებთან.

1979



შრი, მრმები, ნინია

ქუჯი არ ჩანს,
ფარნავაზიც...
არც ქართუ და იბერია...
სულ ქორწილი და ლხინია...
როკავენ და იმდერიან:
ური¹, ერეხი², ნინია³.

1970

^{1,2,3} – პრეისტორიული კოდეური (ქართველი) ქალაქები.



* * *

სივრცეები მზერას ნამავს...
წარსულის კარს ვერ მოვხურავ,
რადგან,
ვიღაც ისევ უხმობს:
მზეს – დედას და
მთვარეს – მამას.
ძველ კოლხურად.

1971



ჰელიო*

ახლაც,
როცა მუხას ჭრიან,
წარსულიდან კოლხ-წარმართა,
ისევ ისმის ავი ხიდან:
— ყოფნა ცუდად წარიმართა
და სიცოცხლეც გაჯახიდა.

1969

* ჰელი (მეგრ.) მუხასა, რომელზეც ლოცულობდნენ
წარმართი კოლხები.



ხილვა: მეღვა

ახლა მედეა ახსოვს არავის
გლადას და არც ანატოლიას.
(უიმედეობა გვ,
კოლხებმა დიდხანს ითმინეს)
და... მეჩვენება, რომ მოფრინდა
ფაზისს,
თოლია,
გედეა და...
სიყვარულს და ლალატს
ქვითინებს.

1968



* * *

შორეული წარსულივით,
ცად ღრუბელი აიზდარბა,
მერე დადგა ბორცვებად
მერე შავი ზღვა მოპჰავდა —
ძველ კოლხეთზე ოცნებას.

1978



ზენა ზღვა

მაშრიყიდან –
მაღრიბით,
დიდ ქვეყანას კოლხეთის –
ყოფნის დიდი ბეჭედი,
შავზე, შავად ზე აზის:
აღსავლით – მეოტიის¹
და დასავლით ზენა ზღვის.²

1977

¹ მეოტია – აზოვის ზღვა

² ზენა ზღვა – შავი ზღვა



ერთაღმართი მთვარე ფხიზლობს

როს გაიგებს მამლის ყივილს,
უამს ცისკრისას,
გამთენია,
დამეს სურს რომ გაიხიზნოს.
ვარსკვლავებსაც ჩათვლემიათ,
ერთადერთი მთვარე ფხიზლობს.

1985



პოლიტიკა

ავთვალი და ავსული,
თვალებს ჩუმად ნაბავდა.
და ისმოდა ზარის ხმა, –
ჭურიას და ნაბადას.
პოლიტიკა ებრძოდა
მტერს,
ქარსა და ქარიშხალს,
რაღა ექნა?
გამჩენმა,
ის ზღვისკარად დაბადა.

1969



* * *

რომ ესახლნენ ახლოს ფოთთან
 ზვირთნი,
 თითქოს წინაპართა –
 წყლად ქცეული სულებია.
 საამოა მათი მზერა და ფუთფუთი.
 მიმოდიან,
 ჩურჩულებენ:
 მის ძველ სახელს –
 ფუთი! ფუთი!

1959



მშრიცხები

პორიზონტს იქით,
პორიზონტები, —
ჩემი კოლხეთის არის წარსული,
აი, ეს ზღვებიც ტანშიშველი,
ასე ურცხვები,
და მოციმციმე ეს მურიცხები¹ —
კოლხთა ლოცვა —
მამალმერთოან ცაში ასული.

1969

¹ მურიცხები (მეგრ.) — ვარსკვლავები



* * *

მინაწერი „პოლხური
ფსალმუნების“ მესამე,
ათასგვერდიან ტომეულზე

მეორე, არა,
ეს მესამე ათასწლეული,
ახდენაა ჩემი ოცნების
და უფალზე უნდა ვიღოცო...
მიმქროლავ დღეებს აღარ რჩებათ
დრო გაოცების,
სურვილი კი აქვთ, რომ გაიოცონ.

2006



* * *

მარადისობის ცისკენ მზირალი,
ვინც უდმერთობას
გულში გაივლებს,
არსი ყოველი საწუთოსაგან
დაილექტა...
მარად უჭირობი და მოყვავილე –
„ეს მე ვარ ვაზი, ოქვენ კი
ლერწები“.

1981



სორბაში

ვაჟა!

ვაჟა! –

შედამებულზე,
თავის ნაშიერს ვიღაცა უხმობს,
(კარს ლიას ტოვებს და
აღარ კეტავს).
და ვფიქრობ ჩემთვის:
ნეტავ რა მიჭირს,
წუთით რომ ვიყო ის ციცქნა
ბიჭი,
სოფლის ბოლოს რომ ეძახის
დედა.

2006



პოსტილონი, ზეპს და ჰადეს

დღისით მზე და დამით მოვარე,

მათ ცა აკლებს

შავ არშიებს

და დრო-უამი ტაბუს ადებს

სამ ძმას,

სამ ღმერთს.

კოლხთ ნაშიერთ:

პოსტილონის, ზეპს და ჰადესს.

1988



ვესტონის დისპო

ქს ცა,

ეს ზღვა და ეს მთები,
ათასწლეულების ნარწევი,
ვარსკვლავთა ჭალარა
თმა-წვერით,
ვით ღვთაებები სარისკოა.
სამყარო –

ფესტონის დისკოა¹,
პრეისტორიული კოლხურით
ნაწერი.

2007

¹ ფესტონის დისკო – კუნძულ კრეტაზე 1908 წელს
აღმოაჩინა იტალიურმა მეცნიერმა ლ. პერნიემ, ქ.
ფესტობში.

პოსეიდონი და პელასგე

დიდი იყო კოლხეთი...
და მაკვირვებს მე უფრო,
ქვეყნად ალბათ ყველაზე –
მამა-შვილი მეუფობს:
პონტოს – პოსეიდონი,
არგოლიდში – პელასგე.

1974



დიდგორობა – 2003

პვამლის თოკებზე ჰქიდია მთები
„დიდგორობაა“ და

დაუკლავთ საკლავები.

ჯიხვები გაბზარულ გულებს
ამთელებენ.

და ისევ ელავენ ცაში ვარსკვლავები,
თითქოს და ბრძოლის წინ –
ხმლებს ლესავენ ქართველები.

2003

ეპხსინი და ჰელვაკონტი

გინდ მაცოცხლეთ,
გინდ მომკალით! –

შავ ზღვას ადრე აღარ ერქვა
შ-ა-ვ-ი!

(კოლხთა გულს რომ ასე
კორტნის)

ერქვა ცალფა¹,
მეოტია²,
და კო-კა-ი³,
ევქსინი⁴ და ჰელესპონტი⁵.

1976

¹ ცალფა – ერთგასასებლელიანი ზღვა.

² მეოტიას ტბა – (შემდგომ შავი ზღვა) ზღვად იქცა
დაახ. 5500 წვ. წ. ად. – ამჟამად აზოვის ზღვა.

³ კო-კა-ი იაპონურად.

⁴ ევქსინის პონტო – ბერძნ.

⁵ ჰელესპონტი, წყალსი დამხრცვალი ჰელეს
საპატივცემულოდ.

პელაზგები

„პელაზგებს¹“ თითქმის მთელი
მსოფლიო პქონდათ დაპყრობილი“.

პლუტარქე

ათასწლეულების იქით,
პირამიდებს აშენებდნენ,
ფაზისსა და ნილოსს გაღმა.
(ასაკს მათ შუა ვერ ვძებნი.)
მოჩანს ძუძუმწოვარ ბალდად
პელაზგებთან –
ბერძნები.

1981

¹ პელაზგები – კოლხ-ლაზთა შორეული წინაპრები.

* * *

უფალს ნაამბორები,
არ მიკარებს მე რული.
ბრუნავს ქამთა მორევი –
შორი და უფერული.
ცა და მიწა – ორივე,
არის ეზოტერული

1989



აიღთიდები

ვიდრე მთვარის...
 სინათლე,
 მზის პინაზე მეტი დევს,
 და მე არა ეგვიპტეს,
 ჩემს კოლხეთში დავეძებ
 მზის შვილთ —
 აიეტიდებს¹.

¹ აიეტიდები — მზის ღმერთის პელიონის
 შთამომავლანი.



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
*** (მაღლა...)	25
ომაბურძგლა შიში.....	26
უნდა უსმინოთ	27
ჩემი დროც მოვა.....	28
ორი ხმა.....	29
*** (სულს გავატან).....	30
*** (ცეცხლოვანი ენთო ...)	31
*** (დღის თეთრი სული)	32
გაზაფხული კრწანისის ველზე.....	33
*** (თავხედმა და გიჟმა ქარებმა)	34
*** (ისევ უკეთიათ ხის ტოტებს თითებზე).....	35
*** (ქარების მოთქმით...)	36
მეარღნე	37
*** („აღგვად ქართლისა!“)	38
*** (ძლივს მოაღწია, აი...)	39
*** (ქართული კამპამა ციხე)	40
*** (მოწყენილი ცა და...)	41
*** (მხოლოდ ის...)	42
*** (ქართული სიტყვის).....	43

უფალო ჩემო	44
*** (კოდხური ეზო...)	45
ჩვენ, ქართველები.....	46
*** (რადგან ყოველი არის...)	47
*** (მზით და სინათლით შემოსილები)	48
*** (დამის დარბაზი).....	49
*** (ქვები, ქვებია...)	50
*** (გამოენისას ჩამებინა...)	51
მოხუცებს თავი რომ შეახსენოს	52
*** (ჩემს ფიქრებს...)	53
*** (თეთრი შარფები).....	54
უცდის პოეტი სიკვდილს.....	55
*** (ქარები საღლაც მიიჩქარიან...)	56
შეგეყარო მინდა უცებ.....	57
ჩემი მთები.....	58
*** (შენი თვალების ოკეანიდან)	59
*** (რომ ამოჰყვები).....	60
ძაღლები	61
მუდმივი სასჯელი.....	62
*** (სიცოცხლე სხვა არაფერია)	63
ჩემს პატარა კუნძულზე ვსახლობ	64
დამე დაღესტანში	65
ქვისმოლელები	66

*** (დამის ნაშობი და ნაშური...)	67
*** (ისევ ღეობენ...)	68
შემოდგომა ეტრფის გაზაფხულს	69
გადავდივარ მეორე მხარეს	70
ცოტაც და	71
*** (დაუნდობელ და ცბიერ...)	72
რომ	73
იცის... არავინ	74
სამაია	75
ოქროს უზალთუნებს	76
ვით ჩიტი ღაურ	77
*** (მოწყდა საბუდარს...)	78
მე რომ მიყვარხარ	79
*** (როს სოფლის თავზე...)	80
დღე-დამე	81
*** (ქარის უდელში...)	82
*** (დუღს და...)	83
*** (ოხრილის სარკეში...)	84
აჯობე ეშმაკს	85
ჩემი ეზო	86
*** (მთაში ტყეებს და...)	87
*** (გაჩენის დღიდან...)	88
*** (იყო ქალაქი...)	89

ზვინი	90
ტელეფონი	91
მუნხია	92
გლოვა.....	93
ჩემი ოდა	94
მიწისძვრა.....	95
ღამე, ელვა, თვითმფრინავი	96
*** (სინათლის ქვეყნიდან)	97
შენ, ვით პეტრე იბერი.....	98
აგრაფინა	99
ო, ღვთისნიერო	100
ხიდქვეშ	101
*** (ვმკითხაობ...)	102
*** (როდესაც ქარები...)	103
ტარაკანა	104
ქვევრში ათასწლეული ხმიანებს	105
*** (ფოთლები)	106
მათ იკითხონ თორემ....	107
ჩივილი	108
*** (იმედის ჯოხით)	109
*** (ვაგროვე დღეთა...).	110
*** (ცამ ატირება...)	111
*** (სძინავთ...)	112

სამადლობელი.....	113
ქაშუეთი.....	114
აი, ესაა შვილობა ჩვენი	115
*** (ცის ლამაზ ბაღში).....	116
*** (სასაფლაოზე).....	117
კვირტები.....	118
ბნელიდან მიმზერს.....	119
*** (ხეს)	120
*** (სანაპიროზე).....	121
მოჰვავს ჭრილობას.....	122
*** (თვით ცათა მეფე).....	123
*** (ხმა დაიბოხა უეცრად მებმე)	124
ჩემი ბათურა	125
*** (იყივლებს დილა...)	126
*** (შემოდგომის ტყის გზა-ბილიკებზე)	127
*** (არაგვის მაღალ ნაპირზე)	128
*** (ცივ სიბნელიდან...)	129
*** (ეზოს სიბნელის...)	130
*** (როგორ გათენდნენ...)	131
*** (ძაღლის ყეფით სავსეა შუპა...)	132
*** (ხეებს ჩხრექს ქარი)	133
*** (ღამის კართან...)	134

*** (დიდხანს იდავეს...)	135
*** (აღმოსავლეთით სინათლის ეტლს...)	136
ათონში.....	137
*** (მიიტყორცნება...)	138
რწმენა და ნიჭი.....	139
*** (ბეწვის ხიდია დღე ყოველივე)	140
*** (ანდამატივით ცისკენ იზიდავს)	141
*** (შურმა და მტრობამ)	142
*** (სიგრცეებს ტანზე ბნელი მოუსხამთ)	143
რაც იყო, იყო...	144
*** (გადასერილი ელვის ცისფერ ნაკადულებით)	145
ბობოქარ ზღვისკენ მიიჩქარიან	146
*** (ნაპირზეამოყრილ...)	147
თეთრი ღამე	148
*** (რომ გამოსტაცოს სიცოცხლეს)	149
*** (ალუჩის ტოტზე შესკუპულა...)	150
*** (მარადებამს ცისკენ ხელაპყრობილი)	151
*** (ქარიშხლით საგსე...)	152
*** (ქუხილი სდევს...)	153

*** (გზას რომ მისდევენ აკაციები)	154
*** (როცა იქლვებს...)	155
*** (წაულეკიძ პონტოს ნაპირი)	156
*** (ცის ულურჯეს და კამპამა ტბაში)	157
*** (საუკუნის საწიერზე)	158
უეცარი ქარიშხალი ზღვაზე	159
*** (ფიქრით და ოცნებით დახუნდლულ)	160
*** (წვიმდა და უცებ...)	161
*** (თუ არავინ აღარ გიყვარს)	162
*** (ჩემი არყოფნის პიტალო კლდეზე)	163
*** (სინათლეს კვლავ რეკავს...)	164
*** (ტანზე ასხია ყინვის ეკლებად...)	165
*** (ელვა ღრუბლის ფულუროდან...)	166
*** (სულს უჩუმრად მივაბარებ...)	167
*** (მინავლდა ორმოცი წელი)	168
*** (თიბათვე მთვარის ვეება გრდემლზე)	169
მივიწყებული სასაფლაო	170
*** (მთვარის შუქზე ელვის ნამგლებით)	171
*** (წვიმიან ამინდს...)	172
*** (ყინვით დაზრობილ სიმყუდროვეში)	173

*** (ხიფათად შობილი რიცები).....	174
*** (მტრობის ხის გაბაჯდლულ ტოტებზე).....	175
*** (ადმოსავლეთით გაშლილია).....	176
*** (მზის მეწამულ ძოწის პორფილს)....	177
*** (ფუღუროებში დაბუდორებულა...).....	178
*** (შუალამეა).....	179
*** (წყვდიადი წარსულის ნანგრევებს).180	
*** (ღრუბლების შავი დილეგებიდან)	181
*** (გაქცელს ზღვიდან)	182
*** (სანამ ფერმკრთალი).....	183
*** (რომ ბინადრობენ).....	184
*** (კავკასიონის კლდოვან ნპირებს...) ...	185
*** (ლეგენდებიდან მესმის ძახილი...)	186
*** (როგორც იმედი და გადარჩენა...)	187
*** (ბებერი, მაგრამ...).....	188
ფასკუნჯი და ფენიქსი.....	189
ან-მარე	190
არკადიელები	191
ია, ია	192
ათი მცნება	193
სინამდვილე და მითები	194
თალმუთი და თორა	195

გარგანჩია.....	196
პელიოსის ქოსები.....	197
კავკასიონი – ნოეს ხომალდია.....	198
კოლხურ სულს და ისტორიას.....	199
ხილვა: ცარცული პერიოდი	200
*** (ზოგ-ზოგ „მეცნიერს“).....	201
ხლვა: წარმართი კოლხები	202
კოლხური ცის ტაძარში.....	203
ფეაკები და ჰალიძონები	204
შხარას, ოქონულდს და უშბას	205
ხილვა: დავით აღმაშენებელი	206
დმანისი	207
8000	208
*** (ცაში ვარსკვლავთა არის ნადიმი).....	209
ფეაკები და ქასქები	210
ცამცუმი და ამირანი.....	211
ჩემი მზე	212
მარკოზის სახარების კითხვისას	213
კოლხურ ენაზე	214
ათასწლეულების მერე	215
*** (შენ...)	216
ავესტა და კირბები	217
ალუმართავს მცხეთის ჯვარი	218

*** (წარმართ ფხოველებს გამოქცეული).....	219
ური, ერები, ნინია	220
*** (სივრცეები მზერას ნამავს)	221
ჭყონი	222
ხილვა: მედვა.....	223
*** (შორეული წარსულივით).....	224
ზენა ზღვა	225
ერთადერთი მთვარე ფხიზლობს.....	226
კოლხი კაცი.....	227
*** (რომ ვარდნენ ახლა ფოთოან...)	228
მურიცხები.....	229
** (მეორე არა...)	230
*** (მარადისობის ცისკენ მზირალი)	231
ხორგაში.....	232
პოსეიდონს, ზევსს და ჰადესს.....	233
ფესტოსის დისკო.....	234
პოსეიდონი და პელანგე.....	235
დიდგორობა – 2003	236
ეგქსინი და ჰელესპონტი	237
პელეზები.....	238
*** (უფალს ნაამბორები)	239
აიეტიდები	240

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

გოლუშრი ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 76

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 76

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – მზია აკობია |
| მხატვარი | – სპართაკ ციცაძემ |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – სოფო გიურაშვილი |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყალბაშვილები |
| გამომცემელი | – მათე დოლგია |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com